

სს „არემჯი კოპერი“

2020 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „არემჯი კოპერის“-ის სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "არემჯი კოპერის" (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი"), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ყურადღებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 25-ე შენიშვნაზე ვამახვილებთ, რომელშიც აღწერილია, რომ კომპანიამ გამოიყენა გათავისუფლება, რომ არ მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიში საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (SARAS). ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს “მმართველობით ანგარიშს”.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის წაკითხვის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი მოსაზრების საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

30 ნოემბერი, 2021 წელი

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი მოსაზრების საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დევკვატური იქნება, შეცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანოების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

ნათია

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
30 ნოემბერი, 2021 წელი



'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	152,416	95,803
(მოიცავს კაპიტალიზირებულ აღდგენის ანარიცხს)			
არამატერიალური აქტივები	13	28,059	27,279
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		15,641	9,244
წილობრივი ინვესტიციები	14(a)	12,582	4,001
მისაღები დივიდენდები	14(b)	-	48,085
გაცემული სესხები	16	281,074	20,638
სულ გრძელვადიანი აქტივები		489,772	205,050
მარაგები	15	44,050	33,530
საგადასახადო აქტივი	23	10,235	2,148
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	24,910	24,066
მისაღები დივიდენდები	14(b)	78,400	-
გაცემული სესხები	16	-	53
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	71,555	39,193
სულ მიმდინარე აქტივები		229,150	98,990
სულ აქტივები		718,922	304,040
კაპიტალი	19		
სააქციო კაპიტალი		36,189	36,189
გაუნაწილებელი მოგება		404,832	167,985
სამართლიანი ღირებულების რეზერვი		10,983	2,402
სულ კაპიტალი		452,004	206,576
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	21	71,864	25,024
ტერიტორიის აღდგენის ანარიცხი	12	26,471	22,084
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		98,335	47,108
სესხები და კრედიტები	21	28,628	5,822
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	139,955	44,534
სულ მიმდინარე ვალდებულებები		168,583	50,356
სულ ვალდებულებები		266,918	97,464
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		718,922	304,040

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-57 გვერდებზე.

სს „არემჯი კოპერი“
 2020 წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და
 სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	504,993	325,351
გაყიდვების თვითღირებულება	6	(258,126)	(189,538)
მთლიანი მოგება		246,867	135,813
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	7	(3,919)	(3,345)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(42,048)	(33,301)
დივიდენდებთან და გაცემულ სესხებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი	24(c)	(8,770)	(450)
სხვა შემოსავალი		3,012	5,035
სხვა ხარჯები	9	(5,885)	(4,619)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		189,257	99,133
ფინანსური შემოსავალი	10	56,291	7,578
ფინანსური ხარჯები	10	(8,701)	(5,086)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		47,590	2,492
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		236,847	101,625
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		236,847	101,625
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში</i>			
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული წილობრივი ინვესტიციები - სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	24(a)	8,581	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		8,581	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		245,428	101,625

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

თორნიკე ლიპარტია
 აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა მეფარიშვილი
 ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10- 57 გვერდებზე.

სს „არეზი კოპერი“
2020 წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	504,993	325,351
გაყიდვების თვითღირებულება	6	(258,126)	(189,538)
მთლიანი მოგება		246,867	135,813
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	7	(3,919)	(3,345)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(42,048)	(33,301)
დივიდენდებთან და გაცემულ სესხებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი	24(c)	(8,770)	(450)
სხვა შემოსავალი		3,012	5,035
სხვა ხარჯები	9	(5,885)	(4,619)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		189,257	99,133
ფინანსური შემოსავალი	10	56,291	7,578
ფინანსური ხარჯები	10	(8,701)	(5,086)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		47,590	2,492
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		236,847	101,625
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		236,847	101,625

სხვა სრული შემოსავალი

ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება
რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ
შემოსავალში ასახვით შეფასებული
წილობრივი ინვესტიციები - სამართლიანი
ღირებულების წმინდა ცვლილება

24(a)	8,581	-
	8,581	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	245,428	101,625

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის
მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

თორნიკე ლიპარტია
აღმასრულებელი დირექტორი



ლაშა მეფარიშვილი
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10- 57 გვერდებზე.

სს „არემჯი კოპერი“
2020 წლის კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	სამართლიანი ღირებულების რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	36,189	2,402	66,360	104,951
სულ სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	101,625	101,625
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	101,625	101,625
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	36,189	2,402	167,985	206,576
 ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	36,189	2,402	167,985	206,576
სულ სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	236,847	236,847
სხვა სრული შემოსავალი				
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული წილობრივი ინვესტიციები - სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	-	8,581	-	8,581
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	8,581	-	8,581
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	8,581	236,847	245,428
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	36,189	10,983	404,832	452,004

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 57 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის მოგება		236,847	101,625
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		25,249	25,025
გაუფასურების ზარალის აღდგენა მისაღებ დივიდენდებზე	24(c)	(686)	227
გაუფასურების ზარალი გაცემულ სესხებზე	24(c)	9,456	223
მარაგების ჩამოწერა	9	4,114	-
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლაზე	11	25	184
წმინდა ფინანსური შემოსავალი	10	(47,590)	(2,492)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან		227,415	124,792
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე			
ცვლილება მარაგებში		(14,634)	(13,767)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	17	(62,384)	(53,903)
ცვლილება საგადასახადო აქტივში		(8,087)	(849)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	22	151,572	(968)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების		293,882	55,305
გადასახადის გადახდამდე			
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი		293,882	55,305
სახსრები			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		923	-
გაცემული სესხები		(257,618)	(35,861)
გაცემული სესხების დაფარვა		10,751	26,064
ძირითადი საშუალებების შეძენა		(84,209)	(36,878)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული		-	952
შემოსულობები		-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,610)	(4,872)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		(332,763)	(50,595)
ფულადი სახსრები			
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
შემოსულობები სესხებიდან	21	226,619	135,552
სესხების დაფარვა	21	(163,711)	(98,504)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობებიდან		62,908	37,048
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა			
ზრდა		24,027	41,758
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		39,193	489
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა			
და მათ ეკვივალენტებზე		8,335	(3,054)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	18	71,555	39,193

არსებითი არაფულადი ერთეულები წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 21 და 22.

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-57 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
2. აღრიცხვის საფუძველი	11	18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22
3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა	12	19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები	22
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	20. კაპიტალის მართვა	23
5. შემოსავალი	14	21. სესხები და კრედიტები	23
6. გაყიდვების თვითღირებულება	15	22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
7. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	15	23. საგადასახადო აქტივები	25
8. ადმინისტრაციული ხარჯები	15	24. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	26
9. სხვა ხარჯები	16	25. შვილობილი კომპანიები	36
10. წმინდა ფინანსური შემოსავალი	16	26. ვალდებულებები	36
11. ძირითადი საშუალებები (მოიცავს კაპიტალიზირებულ აღდგენის ანარიცხს)	17	27. პირობითი ვალდებულებები	36
12. ტერიტორიის აღდგენის ანარიცხი	18	28. დაკავშირებული მხარეები	39
13. არამატერიალური აქტივები	19	29. COVID-19-ის გავლენა	40
14. წილობრივი ინვესტიციები და მისაღები დივიდენდები	20	30. შეფასების საფუძველი	41
15. მარაგები	21	31. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	41
16. გაცემული სესხები	21	32. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	56
		33. შემდგომი მოვლენები	57

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში (იხილეთ შენიშვნა 29).

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „არემჯი კოპერის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 25 (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“).

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები სააქციო საზოგადოებებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს წარმოადგენენ და ისინი რეგისტრირებული და დაფუძნებული არიან საქართველოში. კომპანია დაარსდა 1996 წლის 31 იანვარს და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 225358341.

კომპანიის იურიდიული მისამართია: დაბა კაზრეთი, ბოლნისის რაიონი, საქართველო.

კომპანიას მიღებული აქვს მინერალური რესურსების, ძიების, მოპოვებისა და დამუშავების ლიცენზია მადნეულის საბადოზე, სამხრეთ საქართველოში ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე 2041 წლამდე (იხილეთ შენიშვნა 4(a)).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნის მოპოვებას და დამუშავებას. საბოლოო პროდუქტები შედგება სპილენძისა და ოქროს კონცენტრატის, ოქროსა და პოლიმეტალის კონცენტრატის და ცემენტ-სპილენძის კონცენტრატისგან.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პირდაპირ მშობელი კომპანიაა (99.6%-იანი საკუთრების წილით) შპს "მაინინგ ინვესთმენტს"-ი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, ხოლო კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა "Eulachon Limited" მენის კუნძულზე რეგისტრირებული კომპანია. კომპანიაზე საბოლოო კონტროლის მქონე მხარე არის დიმიტრი ტროიცკი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 4 (a) და შენიშვნა 11 - მადნის რეზერვების შეფასებები და გადახდის ხარჯების კაპიტალიზაცია;
- შენიშვნა 24(c) - გაცემული სესხების გაუფასურება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის ამოსავალი მონაცემების განსაზღვრა, ანაზღაურებადი ფულადი ნაკადების შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების ჩათვლით.

ინფორმაცია სხვა დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობების შესახებ შეტანილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 12 - ტერიტორიის აღდგენის ანარიცხები: მნიშვნელოვანი დაშვებები რესურსების გადინების ოდენობასა და ვადებთან დაკავშირებით; და
- შენიშვნა 14(a) - წილობრივი ინვესტიციები: სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მესამე დონედ კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.
- შენიშვნა 14(b) - მისაღები დივიდენდების მიღების ვადების განსაზღვრა;

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 12 - ტერიტორიის აღდგენის ანარიცხები.

(a) მადნის რეზერვების შეფასება

არსებობს რიგი გაურკვევლობა მადნის რეზერვების რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მათ შორის ჯგუფის კონტროლს მიღმა არსებული მრავალი ფაქტორი. მადნის რეზერვის შეფასება საბურღი ხვრელიდან და სხვა ღიობებიდან აღებული სინჯებიდან მიღებული საბადოს ანალიზის შედეგების საინჟინრო შეფასებებს ეფუძნება. ამასთან, კონკრეტული ლითონის საბაზრო ფასების კლებამ შესაძლოა გამოიწვიოს მინერალიზაციის ნაკლები ხარისხის მქონე მადნის რეზერვების არაეკონომიკურობა საბადოსთვის ან შემდგომი დამუშავებისთვის.

ამასთან, საოპერაციო და გარემოსდაცვითი ნებართვების ხელმისაწვდომობამ, საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების ცვლილებამ და სხვა ფაქტორებმა შესაძლოა არსებითად იმოქმედოს ჯგუფის მადნის რეზერვების შეფასებაზე.

ჯგუფს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან მიღებული აქვს ლიცენზია ბოლნისის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე („მადნეულის საბადო“) ძვირფასი, ფერადი, იშვიათი ლითონებისა და ბარიტის მოპოვებასა და დამუშავებაზე. ლიცენზია მიღებულია 2014 წლის ნოემბერში და მოქმედებს 2041 წლამდე.

მადნის რეზერვების შეფასებები წარმოადგენს იმ მადნის ოდენობის შეფასებებს, რომელიც შეიძლება ეკონომიკურად და კანონიერად იყოს მოპოვებული ჯგუფის საბადოს ქონებიდან. მსგავსი რეზერვების შეფასებები და აღნიშნულის ცვლილებები შემდეგ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და შედეგებზე:

- კაპიტალიზირებული გადახდის ხარჯები, რომლებიც აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საბადოს ქონების ან მარაგების ნაწილის სახით, შეიძლება შეიცვალოს გადახდის კოეფიციენტების ცვლილების შედეგად (შენიშვნა 11(a));
- ძირითადი საშუალებების (შენიშვნა 11) და არამატერიალური აქტივების (შენიშვნა 13) სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება შეიძლება შეიცვალოს.

2020 წელს, ჯგუფმა ჩაატარა მადნის რეზერვების დეტალური შიდა შეფასება, უკანასკნელი ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის გეოლოგების მიერ დაანგარიშებული მარაგების სავარაუდო რაოდენობა მადნეულის საბადოზე იყო 14,030 ათასი ტონა. მადნეულის საბადოზე მადნის რეზერვების უკანასკნელი შეფასებები მომზადებულია დამოუკიდებელი გეოლოგი ექსპერტის, შპს "S.I.V Trading AG"-ის მიერ 2016 წლის მაისში, "ავსტრალაზიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გაერთიანებული კომიტეტის კოდექსის" ("JORC" კოდექსი) სტანდარტების მიხედვით.

(b) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ყველა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული სამართლიანი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 24 - სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. შემოსავალი

ჯგუფი შემოსავალს გამოიმუშავებს ძირითადად სპილენძის-ოქროს, ოქრო-პოლიმეტალური და ცემენტის სპილენძის კონცენტრატების გაყიდვიდან და ასევე, მომპოვებელ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებიდან.

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

'000 ლარი	2020	2019
სპილენძი-ოქროს კონცენტრატის გაყიდვები	367,488	271,925
ოქრო-პოლიმეტალური კონცენტრატის გაყიდვები*	81,259	13,535
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	40,381	34,725
ოქროს ნახშირბადის გაყიდვები	8,307	-
ცემენტი-სპილენძის კონცენტრატის გაყიდვები	7,388	4,957
სილიციუმის გაყიდვები	170	209
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	504,993	325,351

*მადნის შეძენა ხდება დაკავშირებული მხარის კომპანიისგან შპს "არემჯი აურამაინისგან" და შემდგომ ხდება მისი დამუშავება ჯგუფის მიერ, ოქრო-პოლიმეტალური კონცენტრატის მისაღებად.

ჯგუფი ყველა სახეობის კონცენტრატს ჰყიდის ერთ კონტრაქტზე, შპს "Trafigura PTE"-ზე. ზემოაღნიშნული კონცენტრატების გარდა, 2020 წელს, ჯგუფმა გაყიდა ოქროს ნახშირბადი იგივე კონტრაქტზე.

წინასწარ განსაზღვრული ფასებით დადებული გარიგებების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომლებიც დაკავშირებულია სპილენძი-ოქროს კონცენტრატის, ოქრო-პოლიმეტალური კონცენტრატის, ცემენტი-სპილენძის და ოქროს ნახშირბადის გაყიდვებიდან მიღებულ მოთხოვნებთან, არის არა-არსებითი, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ცალკე მუხლის სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან დაშლილია მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით.

'000 ლარი	2020	2019
უცხოური*	464,442	290,417
ადგილობრივი**	40,551	34,934
სულ შემოსავალი	504,993	325,351

* უცხოური გაყიდვები წარმოადგენს გაყიდვებს ერთ კონტრაქტზე - შპს "Trafigura PTE"-ზე.

** ადგილობრივი შემოსავალი წარმოადგენს შემოსავალს შპს "არემჯი გოლდისტის" გაწეული მომსახურებიდან.

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან არ წარმოშობილა სახელშეკრულებო აქტივები და სახელშეკრულებო ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ინფორმაცია მოთხოვნებზე მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოდგენილია შენიშვნებში 17 და 24(c).

6. გაყიდვების თვითღირებულება

’000 ლარი	2020	2019
საწვავი და მასალები	173,314	110,868
შრომის ანაზღაურება და ხელფასები	24,751	20,799
ცვეთა და ამორტიზაცია	23,936	23,620
აუთსორსინგული მომსახურება	16,636	16,458
ელექტროენერგია	14,817	11,718
ბუნებრივი რესურსების გადასახადები	4,672	6,075
	258,126	189,538

7. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები

’000 ლარი	2020	2019
ტრანსპორტირება და შენახვა	1,908	1,969
მასალები	424	566
ხელფასები და გასამრჯელოები	409	322
ცვეთა	69	28
სხვა	1,109	460
	3,919	3,345

8. ადმინისტრაციული ხარჯები

’000 ლარი	2020	2019
ხელფასები და გასამრჯელოები	29,630	20,625
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	3,165	4,025
საბანკო და საკონსულტაციო ხარჯები	1,696	2,047
იჯარა, კომუნალური მომსახურება, კომუნიკაცია და საოფისე ინვენტარი	1,659	1,542
ცვეთა და ამორტიზაცია	1,244	1,075
უზრუნველყოფა	574	490
რემონტისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	312	254
სამიწვინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები	86	297
სხვა	3,682	2,946
	42,048	33,301

საბანკო და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 259 ათასი ლარის ოდენობით (2019: 192 ათასი ლარი).

9. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
სპონსორობასთან დაკავშირებული და სოციალური დანახარჯები	3,207	883
გადასახადებთან დაკავშირებული საურავები და ჯარიმები	102	9
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	25	728
კვლევის ხარჯი	-	322
სხვა	2,551	2,677
	5,885	4,619

10. წმინდა ფინანსური შემოსავალი

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, შემდეგ ერთეულებზე:			
- გაცემული სესხები		15,212	1,435
- ცვლილება მისაღები დივიდენდებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებაში და დისკონტის პოზიციის დახურვა მისაღები დივიდენდებზე	14(b)	22,675	5,552
მთლიანი შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით შემდეგ ერთეულებზე:		37,887	6,987
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა		18,404	591
ფინანსური შემოსავალი		56,291	7,578
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები - საპროცენტო ხარჯი:			
- საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	21(b)	(6,559)	(3,153)
- დისკონტის პოზიციის დახურვა ტერიტორიის აღდგენის ანარიცხზე	12	(2,142)	(1,933)
ფინანსური ხარჯები		(8,701)	(5,086)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი		47,590	2,492

11. ძირითადი საშუალებები (მოიცავს კაპიტალიზირებულ აღდგენის ანარიცხს)

'000 ლარი

	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	კაშვლები და გზები	მიწა და შენობები	საბადოს ქონება	კაპიტალიზი- რებული აღდგენის ანარიცხი*	სხვა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი								
2019 წლის 1 იანვარს	61,978	29,439	21,078	5,159	52,192	20,715	3,167	193,728
შესყიდვები	12,044	229	2,253	285	11,942	-	1,459	28,212
გასვლები / ჩამოწერები	(1,522)	(11,455)	(13)	-	-	-	(141)	(13,131)
ცვლილება ექსპლუატაციიდან გასვლის ვალდებულების შეფასებაში (შენიშვნა 22)	-	-	-	-	-	(2,073)	-	(2,073)
ნაშთი								
2019 წლის 31 დეკემბერს	72,500	18,213	23,318	5,444	64,134	18,642	4,485	206,736
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	72,500	18,213	23,318	5,444	64,134	18,642	4,485	206,736
შესყიდვები	43,550	-	1,884	2,216	29,604	-	3,151	80,405
გასვლები / ჩამოწერები	(4,956)	(1,184)	(0)	(17)	-	-	(130)	(6,287)
ცვლილება ექსპლუატაციიდან გასვლის ვალდებულების შეფასებაში (შენიშვნა 22)	-	-	-	-	-	2,245	-	2,245
ნაშთი								
2020 წლის 31 დეკემბერს	111,094	17,029	25,202	7,643	93,738	20,887	7,506	283,099
ცვეთა და გაუფასურების ზარალები								
ნაშთი								
2019 წლის 1 იანვარს	35,161	22,448	14,837	2,004	18,429	4,854	2,170	99,903
წლის ცვეთა	7,641	2,801	1,734	231	8,600	1,585	617	23,209
გასვლები / ჩამოწერები	(1,332)	(10,747)	-	-	-	-	(100)	(12,179)
ნაშთი								
2019 წლის 31 დეკემბერს	41,470	14,502	16,571	2,235	27,029	6,439	2,687	110,933
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	41,470	14,502	16,571	2,235	27,029	6,439	2,687	110,933
წლის ცვეთა	8,543	1,530	1,634	299	11,282	1,355	1,369	26,012
გასვლები / ჩამოწერები	(4,956)	(1,169)	-	(16)	-	-	(121)	(6,262)
ნაშთი								
2020 წლის 31 დეკემბერს	45,057	14,863	18,205	2,518	38,311	7,794	3,935	130,683
საბალანსო ღირებულებები								
2019 წლის 1 იანვარს	26,817	6,991	6,241	3,155	33,763	15,861	995	93,823
2019 წლის 31 დეკემბერს	31,030	3,711	6,747	3,209	37,105	12,203	1,798	95,803
2020 წლის 31 დეკემბერს	66,037	2,166	6,997	5,125	55,427	13,093	3,571	152,416

ძირითადი საშუალებები მოიცავს სრულად გაცემილ ერთეულებს, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თვითღირებულებით: 36,440 ათასი ლარი (2019: 40,404 ათასი ლარი).

22,636 ათასი ლარის ოდენობით ცვეთის ხარჯი იქნა დარიცხული გაყიდვების თვითღირებულებაზე (2019: 22,323 ათასი ლარი), 69 ათასი ლარი (2019: 28 ათასი ლარი) გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯებზე, 714 ათასი ლარი - ადმინისტრაციულ ხარჯებზე (2019: 630 ათასი ლარი) და 2,593 ათასი ლარი იქნა შეტანილი საბადოს ქონების და მარაგების საბალანსო ღირებულებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (2019: 228 ათასი ლარი).

(a) საბადოს ქონება

საბადოს ქონება წარმოადგენს გადახსნის საქმიანობის აქტივს საბალანსო ღირებულებით 55,427 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (2019 წლის 31 დეკემბერი: 37,105 ათასი ლარი). მნიშვნელოვანი მსჯელობაა საჭირო იმისთვის, რომ მოხდეს წარმოების შესაბამისი საზომის იდენტიფიცირება, რომელიც გამოყენებული იქნება საწარმოო გადახსნის ხარჯების მარაგებსა და მაღაროს გადახსნის საქმიანობის აქტივებს შორის გასანაწილებლად. ჯგუფი მიიჩნევს, რომ გასანადგურებელი ნარჩენების მოსალოდნელი მოცულობის (ტონა) თანაფარდობა მოსალოდნელი მადნის მოცულობასთან (ტონა) არის წარმოების ყველაზე შესაბამისი საზომი. მადნის რეზერვების შეფასება ასევე გავლენას ახდენს გადახსნის საქმიანობის აქტივზე, იხილეთ შენიშვნა 4(a).

(b) უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ყველა მატერიალური და არამატერიალური აქტივი უზრუნველყოფილია ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით ("GCLA", იხილეთ შენიშვნა 21), 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების მცირე ნაწილი (0.5%-ზე ნაკლები) ფაქტობრივად დაგირავებულია უზრუნველყოფილ საბანკო სესხებთან მიმართებაში. GCLA-ს მიხედვით, 2020 წლის დასაწყისიდან, ჯგუფის და მასთან დაკავშირებული მხარეების ძირითადი საშუალებები ექვემდებარება გირაოს GCLA-დან ფაქტობრივად გადახდილ თანხებთან მიმართებაში. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის ძირითადი საშუალებები არ არის შესაბამისად დაგირავებული GCLA-ს მიმართ, რაც GCLA-ს არაფინანსური კოვენანტის დარღვევას იწვევს. 2021 წლის 29 სექტემბერს, სს "საქართველოს ბანკმა" ოფიციალურად თქვა უარი აღნიშნულ დარღვევაზე (იხ. შენიშვნა 21).

12. ტერიტორიის აღდგენის ანარიცხი

მოძრაობა ტერიტორიის აღდგენის ანარიცხში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2020	2019
თვითღირებულება		
ნაშთი 1 იანვარს	22,084	22,224
დისკონტის პოზიციის დახურვა	2,142	1,933
ცვლილება ექსპლუატაციიდან გასვლის ვალდებულების შეფასებაში	2,245	(2,073)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	26,471	22,084

მას შემდეგ, რაც ჯგუფმა 2014 წლის ნოემბერში მიიღო საქართველოში, ბოლნისის ტერიტორიაზე ძვირფასი, ფერადი, იშვიათი ლითონებისა და ბარიტების მოპოვებისა და დამუშავებაზე ლიცენზია (იხილეთ შენიშვნა 1(ბ)), ჯგუფმა დაასკვნა, რომ მადნეულის საბადოს და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენის ვალდებულება სრულად იქნება ნატვირთი ჯგუფის მიერ 2029 წელს, 2028 წელს (ხელმძღვანელობის გეგმის მიხედვით) ჯგუფის ოპერაციების დასრულებიდან ერთ წელიწადში.

ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, ანარიცხის გაანგარიშების ყველაზე დიდი გაურკვევლობა უკავშირდება გასაწევ ხარჯებს. გარემოს დაცვითი კანონმდებლობა საქართველოში განაგრძობს განვითარებას და რთულია ტერიტორიის აღდგენასთან დაკავშირებით მიმდინარე კანონმდებლობით მოთხოვნილი ზუსტი სტანდარტების განსაზღვრა. მოცემული დაშვების გაკეთებისას, ხელმძღვანელობა ეყრდნობა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებსაც ეფუძნება ტერიტორიის აღდგენის ანარიცხი, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

- ტერიტორიის აღსადგენად საჭირო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მთლიანი არადისკონტირებული ოდენობა შეადგენს 51,557 ათას ლარს (2019: 50,808 ათასი ლარი);
- ანარიცხის ვადები განისაზღვრა ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, როდის შეწყვეტს ჯგუფი მადნის მოპოვებას და დამუშავებას. აღდგენის ხარჯის გაწევა იგეგმება 9 წლის განმავლობაში (2028 წელს).
- ურისკო განაკვეთი, რომლითაც მოხდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება იყო 8.69% (2019: 9.7%). დისკონტირების განაკვეთები წარმოადგენდა ნომინალურ, ურისკო განაკვეთს, მოსალოდნელი ინფლაციის მიხედვით კორექტირების განხორციელებამდე.

შეფასებების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი მომავალი რეკულტივაციის ხარჯებით და შემცირებული დისკონტირების განაკვეთებით.

13. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	სამიეზო, საშემფასებლო და მოპოვების ლიცენზიები	კაპიტალიზირებული სამიეზო და საშემფასებლო ხარჯები	სხვა	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	20,538	12,762	2,371	35,671
შესყიდვები	-	4,773	99	4,872
გასვლები	-	-	(193)	(193)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	20,538	17,535	2,277	40,350
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	20,538	17,535	2,277	40,350
შესყიდვები	38	2,404	168	2,610
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	20,576	19,939	2,445	42,960
ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალები				
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	7,572	2,489	1,202	11,263
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	1,296	362	158	1,816
გასვლები	-	-	(8)	(8)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	8,868	2,851	1,352	13,071
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	8,868	2,851	1,352	13,071
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	1,300	362	168	1,831
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	10,168	3,213	1,520	14,902
საბალანსო ღირებულებები				
2019 წლის 1 იანვარს	12,966	10,273	1,169	24,408
2019 წლის 31 დეკემბერს	11,670	14,684	925	27,279
2020 წლის 31 დეკემბერს	10,408	16,726	925	28,059

ლიცენზიის ამორტიზაცია ნაწილდება მარაგების თვითღირებულებაზე და მარაგების გაყიდვისას აღიარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში; სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია შეტანილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

14. წილობრივი ინვესტიციები და მისაღები დივიდენდები

(a) წილობრივი ინვესტიციები

'000 ლარი	2020	2019
გრძელვადიანი		
წილობრივი ინვესტიციები	12,582	4,001

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები წარმოადგენს ინვესტიციას შპს "არ ემ ჯი გოლდის" (ყოფილი შპს "კვარციტი", იმავე დონის შვილობილი საწარმო) საწესდებო კაპიტალის 3.79% -ში. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მოდელში გამოყენებული ძირითადი ამოსავალი მონაცემები და დაშვებები, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, იხილეთ შენიშვნაში 24(ა). 2020 ან 2019 წლების განმავლობაში ინვესტიციების გასვლა არ მომხდარა. წილობრივი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო შპს "არემჯი გოლდის" გაუმჯობესებული ფინანსური მდგომარეობით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციები შპს „არემჯი გოლდში“ დაგირავებულია უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 21).

(b) მისაღები დივიდენდები

მისაღები დივიდენდის დაუფარავი ნაშთი წარმოადგენს შპს „არემჯი გოლდის“ მიერ 2013 და 2012 წლებში გამოცხადებულ დივიდენდებში კომპანიის წილს და ის აღირიცხება თანხების მოსალოდნელი მიღებების მიმდინარე ღირებულებით დისკონტირებული წლიური 13.1%-იანი განაკვეთით. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობა მოელის დივიდენდის მიღებას 2021-2025 წლებში. თუმცა, 2020 წელს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა მისაღები დივიდენდების აღდგენის მოსალოდნელი ვადები. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობა მოელის მისაღები დივიდენდის დაფარვას 2021 წლის განმავლობაში, ძირითადად შპს "არ ემ ჯი გოლდისგან" მიღებულ სესხებთან ურთიერთგადაფარვის გზით (იხილეთ შენიშვნა 21). შეფასებაში ცვლილების შედეგად, ხელმძღვანელობამ მოახდინა ადრე აღიარებული დისკონტირების გავლენის აღდგენა 2020 წელს და მისაღები დივიდენდების მიმდინარე აქტივის სახით რეკლასიფიკაცია მოახდინა.

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	48,771	40,247
ცვლილება მისაღები დივიდენდებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებაში და დისკონტის პოზიციის დახურვა	22,675	5,552
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	6,954	2,972
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	78,400	48,771
გაუფასურების ზარალი მისაღებ დივიდენდებზე (შენიშვნა 24(c))	-	(686)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	78,400	48,085

15. მარაგები

'000 ლარი	2020	2019
ნედლეული და სახარჯი მასალა	29,102	23,748
დაუსრულებელი წარმოება	5,207	2,338
მზა პროდუქცია	9,741	7,444
	44,050	33,530

2020 წელს ნედლეული, სახარჯი მასალა, და ცვლილებები მზა პროდუქციასა და დაუმთავრებელ წარმოებაში აღიარებულია 254,012 ათასი ლარის ოდენობით გაყიდვების თვითღირებულების სახით (2019: 189,538 ათასი ლარი).

2020 წელს, ნედლეული და სახარჯი მასალა მოიცავს ნელა მოძრავი ერთეულების ანარიცხებს 11,715 ათასი ლარის ოდენობით (2019: 7,601 ათასი ლარი). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებულ წარმოებაზე არ ყოფილა აღიარებული დამკველების ანარიცხი (2019: ნული).

2020 წელს, ადრე ჩამოწერილი დაუმთავრებელი წარმოების აღდგენა ნული ლარი შეადგინა (2019: 524). მარაგების ჩამოწერა, ჩამოწერების აღდგენა და ანარიცხების ცვლილება სხვა ხარჯებშია შეტანილი (შენიშვნა 9).

16. გაცემული სესხები

'000 ლარი	2020	2019
გრძელვადიანი აქტივები		
სესხები დაკავშირებული მხარეების მიმართ	281,074	20,638
	281,074	20,638
მიმდინარე აქტივები		
სესხები დაკავშირებული მხარეების მიმართ	-	53
	-	53

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

გაცემული სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

ჯგუფი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი			31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
				ნომინალური დირებულება	საბალანსო დირებულება	ნომინალური დირებულება	საბალანსო დირებულება
'000 ლარი	ვალუტა	განაკვეთი	წელი				
სესხები							
დაკავშირებული	აშშ						
მხარეების მიმართ	დოლარი	12.5%	2025	291,215	280,969	20,645	20,645
სესხები							
დაკავშირებული							
მხარეების მიმართ	ლარი	12.5%	2025	105	105	46	46
				291,320	281,074	20,691	20,691

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

ჯგუფის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და გაცემულ სესხებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალები განხილულია 24-ე შენიშვნაში.

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2020	2019
მოთხოვნები სპილენძი-ოქროს კონცენტრატის, ოქრო-პოლიმეტალური და ცემენტის სპილენძის გაყიდვებიდან	8,107	9,489
გადახდილი ავანსები	12,092	9,813
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	3,776	3,649
სხვა მოთხოვნები	935	1,115
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,910	24,066

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალები წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2020	2019
საბანკო ნაშთები	71,555	39,193
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	71,555	39,193

ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

(a) სააქციო კაპიტალი

ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების ავტორიზებული რაოდენობა არის 24,330,195 (2019: 24,330,195), ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე 1 აშშ დოლარი. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, სააქციო კაპიტალის ეკვივალენტური ოდენობა ლარში იყო 36,189 ათასი ლარი.

ყველა ავტორიზებული აქცია იქნა გამოშვებული და სრულად გადახდილი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ კომპანიის კრებებზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

(b) დივიდენდები და სხვა განაწილებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მომზადებული კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

(c) რეზერვები

რეზერვები მოიცავს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული წილობრივი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების კუმულაციურ წმინდა ცვლილებას, ინვესტიციების აღიარების შეწყვეტასა თუ გაუფასურებამდე.

20. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა მიმდინარე აქტივების/ვალდებულებების ეფექტური მართვით, კერძოდ ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტების, დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულებების მართვის, ჯგუფის შემოსავლების და შედეგების მუდმივი მონიტორინგის და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების გზით, რაც უმეტესად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით და მიღებული სესხებითა და კრედიტებით ფინანსდება.

ჯგუფის ვალის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

'000 ლარი	2020	2019
სულ ვალდებულებები	266,918	97,464
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	71,555	39,193
წმინდა ვალი	195,363	58,271
სულ კაპიტალი	452,004	206,576
წმინდა ვალის კაპიტალთან თანაფარდობა 31 დეკემბერს	0.43	0.28

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

21. სესხები და კრედიტები

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტის მატარებელი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 24-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	ჯგუფი	
	2020	2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	-	19,400
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან*	71,864	5,624
	71,864	25,024
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	5,249
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	22,284	-
არაუზრუნველყოფილი სესხი	6,344	-
დოკუმენტური აკრედიტივები	-	573
	28,628	5,822

*გრძელვადიანი სესხი დაკავშირებული მხარისგან წარმოადგენს შპს "არემჯი გოლდისგან" მიღებულ სესხს, რომელიც უნდა იყოს ურთიერთგადაფარული "არემჯი გოლდისგან" მისაღებ დივიდენდებთან. იხ. შენიშვნა 14(b).

უზრუნველყოფილი საბანკო სესხი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, GCLA-ს ფარგლებში არაფინანსური კოვენანტის დარღვევის შედეგად (იხ. შენიშვნა 11 (b)), 22,284 ათასი ლარის ოდენობით უზრუნველყოფილი საბანკო სესხი იქნა კლასიფიცირებული მიმდინარეს სახით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს ბანკს არ მოუთხოვია უზრუნველყოფილი საბანკო სესხების ნაადრევი დაფარვა, ხოლო 2021 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ბანკმა ფორმალურად თქვა უარი აღნიშნულ დარღვევაზე. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯგუფი კოვენანტის დარღვევის შემთხვევის გამოსწორების პროცესშია.

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

ჯგუფი	31 დეკემბერი 2020			31 დეკემბერი 2019		
	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ლირებულება	საბალანსო ლირებულება	ნომინალური ლირებულება	საბალანსო ლირებულება
'000 ლარი	ვალუტა					
სესხები						
დაკავშირებული	აშშ					
მხარეებისგან	დოლარი	12.5%	2024	71,864	71,864	5,713
სესხები						
დაკავშირებული	აშშ					
მხარეებისგან	დოლარი	12%	2020	-	-	5,066
უზრუნველ						
-ყოფილი საბანკო	აშშ					
სესხი	დოლარი	8%	2022	22,284	22,284	19,494
არაუზრუნველ	აშშ					
-ყოფილი სესხი	დოლარი	12%	2021	6,344	6,344	-
უზრუნველყოფი						
ლი საბანკო სესხი	ევრო	3%	2020	-	-	573
				100,492	100,492	30,846

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	30,846
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან:	
შემოსულობები სესხებიდან	226,619
სესხების დაფარვა*	(163,711)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	62,908
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	8,490
სხვა ცვლილებები	
ვალდებულებებთან დაკავშირებული	
საპროცენტო ხარჯი	6,559
ურთიერთგადაფარვა გაცემულ სესხებთან და სავაჭრო მოთხოვნებთან **	(8,311)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(1,752)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	100,492

’000 ლარი	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	39,782
<i>ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან:</i>	
შემოსულობები სესხებიდან	135,552
სესხების დაფარვა	(98,504)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	37,048
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	1,971
სხვა ცვლილებები	
<i>ვალდებულებებთან დაკავშირებული</i>	
საპროცენტო ხარჯი	3,153
ურთიერთგადაფარვა სავაჭრო მოთხოვნებთან ***	(51,108)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(47,955)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	30,846

*2020 წლის განმავლობაში, სესხების დაფარვის ოდენობა მოიცავს 1,661 ათასი ლარის ოდენობით გადახდილ პროცენტს (2019: 7,048 ათასი ლარი)

** 2020 წელს, შპს "არემჯი გოლდისგან" მიღებული სესხი 8,311 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულებით იქნა ურთიერთგადაფარული იგივე კონტრაქტის მიმართ არსებულ სავაჭრო მოთხოვნასთან და გაცემულ სესხებთან მიმართებაში 4,195 ლარის და 4,116 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

*** 2019 წელს, 50,493 ათასი ლარის ოდენობით შპს "არემჯი გოლდისგან" და 615 ათასი ლარის ოდენობით შპს "Trafigura PTE"-სგან მიღებული სესხები იქნა ურთიერთგადაფარული შესაბამისი კონტრაქტების მიმართ არსებულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

’000 ლარი	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	130,283	37,876
ხელფასები და სხვა ვალდებულებები		
თანამშრომლების მიმართ	9,165	6,331
სხვა	507	327
	139,955	44,534

2020 წელს, 56,214 ათასი ლარის ოდენობით სავაჭრო ვალდებულებები იქნა ურთიერთგადაფარული შპს "არემჯი გოლდის" მიმართ არსებულ სავაჭრო მოთხოვნების იგივე ოდენობასთან.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია 24-ე შენიშვნაში.

23. საგადასახადო აქტივები

მას შემდეგ, რაც საგადასახადო ორგანოებმა ყველა ტიპის გადასახადისთვის ერთიანი საგადასახადო ბარათი შექმნეს, 2017 წლიდან ჯგუფი აღარ აღრიცხავს გადასახადებს განცალკევებულ ანგარიშებზე და კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახავს საგადასახადო პოზიციის წმინდა შედეგს 10,235 ათასი ლარის ოდენობით აქტივის სახით (2019: წმინდა საგადასახადო პოზიცია 2,148 ათასი ლარის ოდენობით აქტივის სახით).

24. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სამართლიანი ღირებულების იერარქია

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, მათ მიერ სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონეების ჩათვლით. ცხრილში არ არის შეტანილი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ იმ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუ საბალანსო ღირებულება სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებას წარმოადგენს:

		საბალანსო ღირებულება		სამართლიანი ღირებულება			
		სავალდებულოა, რომ შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან	სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - წილობრივი	ზარალში ასახვით ინსტრუმენტები	სულ	დონე 2	დონე 3
'000 ლარი	შენიშვნა						სულ
31 დეკემბერი 2020							
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები							
მოთხოვნები							
სპილენძის-ოქროს კონცენტრატის, ოქრო-							
პოლიმეტალური კონცენტრატისა და ცემენტის სპილენძის							
გაყიდვებიდან წილობრივი	17	8,107	-	8,107	8,107	-	8,107
ინვესტიციები	14	-	12,582	12,582	-	12,582	12,582

		საბალანსო ღირებულება		სამართლიანი ღირებულება			
		სავალდებულოა, რომ შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან	სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - წილობრივი	ზარალში ასახვით ინსტრუმენტები	სულ	დონე 2	დონე 3
'000 ლარი	შენიშვნა						სულ
31 დეკემბერი 2019							
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები							
მოთხოვნები							
სპილენძის-ოქროს კონცენტრატის, ოქრო-							
პოლიმეტალური კონცენტრატისა და ცემენტის სპილენძის							
გაყიდვებიდან წილობრივი	17	9,489	-	9,489	9,489	-	9,489
ინვესტიციები	14	-	4,001	4,001	-	4,001	4,001

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერებას სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეში:

	დონე 3	
	2020	2019
’000 ლარი		
ნაშთი 1 იანვარს	4,001	4,001
წილობრივი ინვესტიციების გადაფასება	8,581	-
ნაშთი 31 დეკემბერს	12,582	4,001

ჯგუფს აქვს 3.79%-იანი საკუთრება შპს "არემჯი გოლდში" (ბირჟაზე არარეგისტრირებული იმავე დონის შვილობილი საწარმო) და ინვესტიცია აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, როგორც ინვესტიცია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ჯგუფი იყენებს "კაპიტალის ღირებულების რეზერვებთან თანაფარდობის მულტიპლიკატორის მეთოდს" („equity value to reserves multiple approach“) შპს "არ ემ ჯი გოლდში" ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მისაღებად (2019: „ღირებულების რეზერვებთან თანაფარდობის მულტიპლიკატორის მეთოდი“ („value to reserves multiple approach“)), შედეგად, ინვესტიცია კლასიფიცირდება მე-3 დონის აქტივის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი სამართლიანი ღირებულების შეფასებები შესაბამისია, სხვადასხვა მეთოდოლოგიების ან ვარაუდების გამოყენებამ შეიძლება სამართლიანი ღირებულების განსხვავებული შეფასება მოგვცეს. სამართლიანი ღირებულების მე-3 დონეზე, ერთი ან ერთზე მეტი გამოყენებული დაშვების ცვლილებას, გონივრულ ფარგლებში, შესაძლოა ალტერნატიულ დაშვებაზე შემდეგი გავლენა ექნებოდა:

2020 ’000 ლარი	გავლენა მთლიან სრულ შემოსავალზე	
	ხელსაყრელი	არახელსაყრელი
10% -იანი ცვლილება "კაპიტალის ღირებულების რეზერვებთან თანაფარდობის მულტიპლიკატორში"	917	(917)
20% -იანი ცვლილება "კაპიტალის ღირებულების რეზერვებთან თანაფარდობის მულტიპლიკატორში"	1,833	(1,833)

2019 ’000 ლარი	გავლენა მთლიან სრულ შემოსავალზე	
	ხელსაყრელი	არახელსაყრელი
10% -იანი ცვლილება "კაპიტალის ღირებულების რეზერვებთან თანაფარდობის მულტიპლიკატორში"	418	(418)
20% -იანი ცვლილება "კაპიტალის ღირებულების რეზერვებთან თანაფარდობის მულტიპლიკატორში"	835	(835)

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო ჯგუფი შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(გ));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(დ));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 24(ე)).

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ რისკზე ჯგუფის დაქვემდებარების შესახებ, ასევე ჯგუფის რისკების შეფასებისა და მართვისთვის და ჯგუფის კაპიტალის მართვისთვის შემუშავებულ მიზნებზე, პოლიტიკებსა და პროცესებზე. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია შესულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკის მართვის სტრუქტურა

საზედამხედველო საბჭოს აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(c) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება ჯგუფის კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან და მისაღები დივიდენდებიდან.

(i) საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, აღიარებული ფინანსური აქტივებისთვის და აუღიარებელი ვალდებულებებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მისაღები დივიდენდები	78,400	48,085
გაცემული სესხები	281,074	20,691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,818	14,253
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	71,555	39,193
აღიარებული ფინანსური აქტივები	443,847	122,222
საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 27(e))	469,323	410,754

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ევროპის ქვეყნები	8,107	9,489
ადგილობრივი	4,711	4,764
	12,818	14,253

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში შეტანილი ძირითადი მონაცემები წარმოადგენს შემდეგი ცვლადების ვადიანობის სტრუქტურას:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში (EAD).

პირველი ეტაპის დაქვემდებარებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში გადამრავლების გზით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში გადამრავლების გზით. ჯგუფი შემდგომ "დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში" დეფოლტის თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე ადისკონტირებს.

ჯგუფი ზემოაღნიშნულ ხარისხებს განსაზღვრავს შემდეგნაირად:

დაბალი რისკი - მსესხებელს აქვს ძლიერი უნარი მოკლევადიან პერიოდში დააკმაყოფილოს მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფითი ცვლილებებს გრძელვადიან პერიოდში სავარაუდოდ არ ექნება უარყოფითი გავლენა მსესხებლის უნარზე დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

საშუალო რისკი - მსესხებელს აქვს რესტრუქტურული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები, რომელიც უნდა დაიფაროს უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერიოდში, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს მსესხებლის უნარზე დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

მაღალი რისკი - კონტრაქტებს, მოკლევადიან პერიოდში აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფითი ცვლილებები, გრძელვადიან პერიოდში, სავარაუდოდ შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

(ii) **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები (რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ ფასებს ექვემდებარება) არის უპროცენტო და ექვემდებარება მომავალ ცვლილებებს საქონლის ფასებში კოტირების პერიოდის განმავლობაში ("QP") და შესაბამისად, ვერ გადის SPPI ტესტირებას და კლასიფიცირდება როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივი. აღნიშნული სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად ფასდება ჯგუფის მოლოდინით იმ ოდენობისა რომლის მიღების უფლებაც ექნება, რაც წარმოადგენს იმ ფასის მიახლოებას, რომლის მიღებაც მოსალოდნელია, კოტირების პერიოდის ბოლოს.

ჯგუფი არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020
	არ არის	
	გაუფასურებული	
საკრედიტო რისკის ხარისხი	საკრედიტო რისკით	სულ
დაბალი რისკი	4,711	4,711
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება		
ზარალის რეზერვი	-	-
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	4,711	4,711

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
	არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით	სულ
საკრედიტო რისკის ხარისხი		
დაბალი რისკი	4,764	4,764
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება		
ზარალის რეზერვი	-	-
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	4,764	4,764

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (გარდა წინასწარ განსაზღვრულ ფასებს დაქვემდებარებულისა) კლასიფიცირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის ეტაპი 1-ზე.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 8,107 ათასი ლარის ოდენობით სავაჭრო მოთხოვნები (რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ ფასებს ექვემდებარება) (2019: 9,489 ათასი ლარი) ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და არ ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლას, ფასს 9-ის მიხედვით.

(iii) მისაღები დივიდენდები

ჯგუფის მისაღები დივიდენდები წარმოადგენს მოთხოვნას შპს "არემჯი გოლდის" მიმართ, რომელშიც კომპანია ფლობს სააქციო კაპიტალის 3.79%-ს (იხ. შენიშვნა 14(b)). ჯგუფის ხელმძღვანელობა მოელის, რომ მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული 2021 წელს.

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალზე მისაღები დივიდენდებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული
საკრედიტო რისკის ხარისხი		
დაბალი რისკი	83,046	72,682
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	83,046	72,682
გამოკლებული: ზარალის რეზერვი	-	(686)
გამოკლებული: დისკონტირების გავლენა	(4,646)	(23,911)
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	78,400	48,085

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, მისაღები დივიდენდები კლასიფიცირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის პირველი ეტაპის კატეგორიაში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, მისაღები დივიდენდები შეფასდა ინსტრუმენტისგან მისაღები მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით და შესაბამისი დისკონტირება 23,911 ათასი ლარის ოდენობით იქნა აღიარებული როგორც მოთხოვნის მთლიანი საბალანსო ღირებულების შემცირება (იხ. შენიშვნა 14(b)). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, 686 ათასი ლარის ოდენობით ზარალის რეზერვი იქნა გამოთვლილი იმ დაშვების საფუძველზე, რომ დისკონტირების გავლენა კისრულობს ფინანსური ინსტრუმენტისგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის უდიდეს ნაწილს.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობა მოელის მისაღები დივიდენდების აღდგენას 2021 წლის განმავლობაში, მისი შპს "არემჯი გოლდისგან" აღებულ სესხთან და დაკავშირებულ დარიცხულ პროცენტთან ურთიერთგადაფარვის გზით (იხ. შენიშვნა 21). ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, მისაღები დივიდენდების ნაშთი არის სრულად აღდგენადი, რადგან ჯგუფის ვალდებულებები შპს "არემჯი გოლდის" მიმართ ფაქტობრივად წარმოადგენს მისაღები დივიდენდების ნაშთების ფულადი სახსრების გირაოს.

(iv) გაცემული სესხები

ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს სესხების ძირითადად დაკავშირებულ მხარეებზე გაცემას. ჯგუფი არ ითხოვს უზრუნველყოფას დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ სასესხო მოთხოვნებთან მიმართებაში. გაცემული სესხების პირობები აღწერილია 16-ე შენიშვნაში.

გაცემული სესხების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოთხოვნას შპს "კავკასიის სამთო ჯგუფის" მიმართ (დაკავშირებული მხარის კომპანია).

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე სასესხო მოთხოვნებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	ჯგუფი	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020
	არ არის	
	გაუფასურებული	
საკრედიტო რისკის ხარისხი	საკრედიტო რისკით	სულ
დაბალი რისკი	291,320	291,320
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	291,320	291,320
ზარალის რეზერვი	(10,246)	(10,246)
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	281,074	281,074

'000 ლარი	ჯგუფი	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
	არ არის	
	გაუფასურებული	
საკრედიტო რისკის ხარისხი	საკრედიტო რისკით	სულ
დაბალი რისკი	21,481	21,481
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	21,481	21,481
ზარალის რეზერვი	(790)	(790)
სულ წმინდა საბალანსო ღირებულება	20,691	20,691

სასესხო მოთხოვნა 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კლასიფიცირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის ეტაპი 1-ზე.

დეფოლტის ალბათობა გაცემული სესხებისთვის განისაზღვრა 8.10%-ით, ინდივიდუალური მდგომით ექსპერტის მიერ სარეიტინგო სისტემის მიხედვით, ქულებიანი კითხვარის საფუძველზე. ქვეყნის რეიტინგი წარმოადგენს საბაზისო დეფოლტის ალბათობის საფუძველს, რაც წარმოადგენს რეიტინგს და ქვედა ზღვარს გაცემული სესხებისა და მისაღები დივიდენდებისთვის. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის გარე ბენჩმარკის სახით "Moody's"-ის დეფოლტის კვლევას იყენებს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჯგუფი ითვალისწინებს სხვადასხვა ალბათობის შესაძლო სცენარებს, ფინანსური ინსტრუმენტის აღდგენის ვადების სხვადასხვა ალბათობებით და უშვებს მაქსიმუმ 20%-იან ალბათობას სცენარისთვის, რომელშიც ფინანსური ინსტრუმენტები საერთოდ არ არის აღდგენილი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 10%-ის ოდენობით გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებისას, რათა გათვალისწინებულ იყოს ფულის ღირებულება დროში.

ხელმძღვანელობის შეფასებით "დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში" განისაზღვრა 100%-ის დონეზე, იმის გათვალისწინებით, რომ გაცემული სესხები უნდა იყოს დაფარული დაფარვის ვადის დადგომისას.

(v) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ფლობდა ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 71,555 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 39,193 ათასი ლარი). ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დაცულია საქართველოს ბანკში, რომელსაც Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს გრძელვადიანი რეიტინგი BB-.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასდა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის დეკემბრისთვის, ჯგუფს არ უდიარებია გაუფასურების რეზერვი ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

(vi) საკრედიტო ვალდებულებები

ჯგუფი ასევე ექვემდებარება, ჯგუფის მიერ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში დაკავშირებული მხარის კომპანიების დავალიანების გარანტირების მიზნით დადებული საფინანსო საგარანტიო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ საკრედიტო რისკს (იხ. შენიშვნა 27(e)). საკრედიტო რისკი არასაბალანსო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის მხრიდან საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების პირობების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ზარალის გაწევის შესაძლებლობა. დაკავშირებული მხარის კომპანიების დეფოლტის განაკვეთები განისაზღვრა 1.2% - 8.10%-მდე დიაპაზონში. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

(vii) მოძრაობა გაუფასურების რეზერვში

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში მისაღებ დივიდენდებთან და გაცემულ სესხებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2020	2020	2020
	მისაღები დივიდენდები	გაცემული სესხები	სულ
ნაშთი 1 იანვარს	686	790	1,476
საკრედიტო ზარალის დარიცხვა/(აღდგენა) 2020 წლისთვის	(686)	9,456	8,770
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის	-	10,246	10,246

'000 ლარი	2019	2019	2019
	მისაღები დივიდენდები	გაცემული სესხები	სულ
ნაშთი 1 იანვარს	459	567	1,026
საკრედიტო ზარალის დარიცხვა 2019 წლისთვის	227	223	450
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის	686	790	1,476

(d) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

როგორც წესი, ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 1-თვიანი პერიოდისთვის, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურება.

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების, ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2020 '000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნა -მდე	2 თვეზე ნაკლები	2-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
სესხები და კრედიტები	100,492	134,680	22,284	-	6,873	-	105,523
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	139,955	139,955	-	83,933	56,022	-	-
საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 27(e))	469,323	469,323	469,323	-	-	-	-
	709,770	743,958	491,607	83,933	62,895	-	105,523

31 დეკემბერი 2019 '000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნა -მდე	2 თვეზე ნაკლები	2-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
სესხები და კრედიტები	30,846	33,291	136	255	1,293	1,552	30,055
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	44,534	44,534	-	44,534	-	-	-
საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 27(e))	410,754	410,754	410,754	-	-	-	-
	486,134	488,579	410,890	44,789	1,293	1,552	30,055

(e) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

(i) სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს, გაყიდვებთან, შესყიდვებთან და სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში, რომლებიც ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში არის დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

პროცენტი სესხებზე სესხის ვალუტაშია დენომინირებული. როგორც წესი, კრედიტები დენომინირებულია ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი ოპერაციებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს შეესაბამება (ძირითადად აშშ დოლარი). ეს წარმოქმნის ეკონომიკურ ჰეჯირებას, წარმოებული ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობის გარეშე.

ჯგუფს არ გააჩნია სავალუტო რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ სავალუტო რისკი შესუსტებულია, რადგან შემოსავლის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აშშ დოლარშია დენომინირებული.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის რისკზე ნომინალური ოდენობების მიხედვით, იყო შემდეგი:

ჯგუფი

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2020	ევროში დენომინირებული 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 2019	ევროში დენომინირებული 2019
31 დეკემბერი				
მისაღები დივიდენდები	78,400	-	48,085	-
გაცემული სესხები	280,969	-	20,698	-
სავაჭრო მოთხოვნები	8,107	-	9,489	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	71,555	-	39,149	12
სესხები და კრედიტები	(100,492)	-	(30,846)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,329)	(5,538)	(1,488)	(561)
წმინდა დაქვემდებარება	336,210	(5,538)	85,087	(549)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2020	2019	2020	2019
1 აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677
1 ევრო	3.5519	3.1553	4.0233	3.2095

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ეს ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებას, რასაც ჯგუფი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გონივრულად შესაძლებელს მიიჩნევს. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

ჯგუფი '000 ლარი	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2020		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(33,621)	33,621
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	554	(554)
31 დეკემბერი 2019		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(8,509)	8,509
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	55	(55)

ზემოაღნიშნული ვალუტების მიმართ ლარის შესუსტებას 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოაღნიშნულ ვალუტებზე, ზემოთ ნაჩვენებ თანხებთან მიმართებაში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი დარჩებოდა.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ჯგუფისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის არცერთი ფინანსური აქტივი და ვალდებულება არ ატარებს ცვლად საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად ჯგუფი არსებითად არ არის დაქვემდებარებული საპროცენტო განაკვეთის რისკს.

სამართლიანი ღირებულების სენსიტიურობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი სასესხო ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე სასესხო ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

(iii) სხვა საბაზრო ფასის რისკი

კაპიტალის ფასების რისკი წარმოიქმნება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული წილობრივი ინვესტიციებისგან, რომლებიც არ არის შესული ლისტინგში.

ჯგუფის წინაშე დგას რისკი იმისა, რომ ოქროსა და სპილენძის კონცენტრატის ფასის ცვლილებას უარყოფითი გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ ამგვარ ფასებზე მოიცავს პოლიტიკურ ცვლილებებს, მოთხოვნას და მიწოდებას, ტექნოლოგიურ და სხვა საბაზრო პირობებს.

25. შვილობილი კომპანიები

კომპანიას არ ჰყავს მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები საანგარიშგებო თარიღებისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის შვილობილი კომპანიების სია.

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	2020	2019
		საკუთრება/ ხმის უფლება	საკუთრება/ ხმის უფლება
შპს "ბელაზ კავკაზ ტრანს სერვის"	საქართველო	50%	50%
შპს "ტრანს ფეთქ მზიდი"	საქართველო	50%	50%

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ჯგუფი აკონტროლებს შპს "ბელაზ კავკაზ ტრანს სერვისს" და შპს "ტრანს ფეთქ მზიდს", სხვა აქციონერებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანიამ გამოიყენა გათავისუფლება, რომ არ მოამზადოს და წარადგინოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიში საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (SARAS) იმ საფუძველზე, რომ შპს " ბელაზ კავკაზ ტრანსის" და შპს "ტრანს ფეთქ მზიდის" ფინანსური შედეგები არის არა-არსებითი წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იქნება წარდგენილი SARAS-ში. გამოყენებული გათავისუფლება შეესაბამება SARAS-ის 2020 წლის 30 ივლისით დათარიღებულ სარეკომენდაციო მითითებას ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშის წარდგენის შესახებ.

26. ვალდებულებები

ჯგუფი სხვადასხვა სახელმწიფო კანონს და რეგულაციას ექვემდებარება, რომლებიც ჰაერის დამაბინძურებელი ემისიებს, მავნე ნივთიერებების, მავნე ნარჩენების და სხვა ტოქსიკური მასალების გამოყოფას, დამუშავებას, შენახვასა და განკარგვას ეხება.

2018 წლის განმავლობაში, ჯგუფის ხელმძღვანელობამ საჯაროდ გამოუცხადა ჩართულ მხარეებს, რომ ჯგუფი გასწევს საწარმოო ტერიტორიაზე მომავალი გარემოს დაბინძურების შემცირებაზე მიმართულ ხარჯებს. 2020 წლის განმავლობაში, ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი კონსულტანტი იმის დასადასტურებლად, რომ ჯგუფი შესაბამისობაშია ზემოაღნიშნულ ვალდებულებასთან. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს ჰქონდა 2.4 მილიონი ლარის ოდენობით ხარჯის გაწევის ვალდებულება (2019 წლის 31 დეკემბერი: 13 მილიონი ლარი). ვალდებულებები უკავშირდება კაპიტალურ დანახარჯებს, როგორც არის ახალი სტრუქტურების აშენება, საბადოს და მის გარშემო არსებული ტერიტორიის შემდგომი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

27. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო ქონების, საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა ჯგუფის ქონებასთან ან ჯგუფის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ჯგუფი მოპასუხის სახით ჩართული იყო სს „არემჯი კოპერსა“ (მოპასუხე) და „ჯორჯიან კოპერს“ (მოსარჩელე) შორის 2003 წელს აღძრულ საქმეში, რომელიც ეხებოდა ხელშეკრულებას ანგარიშსწორების შესახებ:

სასამართლო პროცესი ეხებოდა სს „არემჯი კოპერი“- ის მიერ შპს „Glencor“- სგან სპილენძ-ოქროს კონცენტრატის რეალიზაციისთვის აღებულ ავანსს. გარიგება 1998 წელს განხორციელდა და ეფუძნებოდა მხარეთა შორის დადებულ სპილენძ-ოქროს გაყიდვა-შესყიდვის ჩვეულებრივ სახელშეკრულებო პირობებს. შემდგომში, მოთხოვნა სს „არემჯი კოპერი“ - ის მიერ მიღებულ ავანსზე შპს "Glencor"-ისგან (ჯგუფთან არადაკავშირებული მხარე) "Georgia Copper AG" -ს გადაეცა (ჯგუფთან არადაკავშირებული მხარე). "Georgia Copper AG" -მ შეიტანა სარჩელი სს „არემჯი კოპერი“ - ის წინააღმდეგ მოითხოვდა რა მისგან აღნიშნული ავანსის დაბრუნებას. სს „არემჯი კოპერი“ არ ეთანხმება ბრალდებას, რამეთუ მათ შეასრულეს საავანსო ვალდებულებები და ავანსი მთლიანად იქნა გაქვითული.

2016 წლის 22 აპრილს და 19 მაისს სს „არემჯი კოპერმა“ შვეიცარიის იურიდიული ფირმის, „Homburger AG“-გან მიიღო ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით, რომ ცუგის კანტონის (შვეიცარია) სასამართლოს 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, მომჩივანის სასარგებლოდ უნდა გადახდილიყო შემდეგი თანხები: 3,067 ათასი აშშ დოლარი ზიანისთვის და პროცენტი (9%) 1,998 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

მოპასუხე დავობს, რომ ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება გაიცა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით, მოპასუხის წინასწარი შეტყობინების გარეშე. სს „არემჯი კოპერმა“ გაასაჩივრა ცუგის კანტონის სასამართლოს გადაწყვეტილება და წარადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა რაიმე სახის ვალდებულება სარჩელთან მიმართებაში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისათვის, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული. თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფმა შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პირობა, აქვთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით და სჯერათ, რომ დავა მათ სასარგებლოდ გადაწყდება.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

(d) საოპერაციო რისკები

სამთო-მომპოვებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობები მათი ხასიათიდან გამომდინარე მრავალ საოპერაციო რისკს და ფაქტორს ექვემდებარება, რომლებიც ზოგადად ჯგუფის კონტროლს სცდება და შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის საქმიანობაზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ფაქტორებს: (i) მიწისა და წყლის დაუგეგმავი პირობები და ნეგატიური მოთხოვნები წყალთან დაკავშირებულ უფლებებზე, (ii) გეოლოგიური პრობლემები, მათ შორის მიწისძვრები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები, (iii) მეტალურგიული და სხვა დამუშავების პრობლემები, (iv) უჩვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების წარმოშობა და სხვა ფორსმაჟორული ვითარებები, (v) მადნის მოსალოდნელზე დაბალი შემცველობა ან ამოღებადობის განაკვეთები, (vi) უბედური შემთხვევები, (vii) საჭირო სახელმწიფო ნებართვების მიღების შეფერხება ან მიუღებლობა, (viii) სასამართლო საქმეთ წარმოების შედეგები, მათ შორის სააგენტო გადაწყვეტილებების გასაჩივრება, (ix) საძიებო და განვითარების სამუშაოებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, (x) შეფერხებები ტრანსპორტირებაში, (xi) შრომითი დავები, (xii) დამაკმაყოფილებელი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობა, (xiii) მასალების და ხელსაწყოების ხელმიუწვდომლობა, (xiv) მოწყობილობების ან პროცესების გაუმართაობა სპეციფიკაციების ან მოლოდინების შესაბამისად, (xv) მოულოდნელი სირთულეები, რომლებიც ითვალისწინებს შემენილ ოპერაციებს და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას და (xvi) ფინანსური მცდელობების შედეგები და ფინანსური ბაზრის პირობები.

(e) საკრედიტო ვალდებულებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს აქვს 150 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზი სს "საქართველოს ბანკთან" (იხ. შენიშვნა 21(a)). საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადა არის 2022 წელი. საკრედიტო ხაზის ნაწილის სახით, ნებისმიერი კონტრაქტის დეფოლტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა დაკავშირებული მხარის კომპანიები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი საკრედიტო ხაზის მთლიან გატანაზე ოდენობაზე. საკრედიტო ხაზზე მოლაპარაკებები განხორციელდა, როგორც გარიგება დამოუკიდებელ მხარეებს შორის, გამოშვებაზე ნამატის გარეშე.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, საკრედიტო ხაზის დაუფარავი ოდენობა, გარდა გატანილი საკრედიტო ხაზისა (ყველა მხარის მიერ), იყო 372 მილიონი ლარი (2019: 326 მილიონი ლარი). დაუფარავი საკრედიტო ვალდებულებების ოდენობები (იხილეთ შენიშვნა 24(c)) წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომელიც იქნებოდა აღიარებული საანგარიშგებო თარიღისთვის თუ კონტრაქტები ვერ დააკმაყოფილებდნენ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო ვალდებულებები, არ წარმოადგენს თანხის აუცილებლად გადინების ვალდებულებას, ვინაიდან აღნიშნულს შეიძლება ვადა გაუვიდეს ან იქნეს შეწყვეტილი კომპანიის მხრიდან დაფინანსების გარეშე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის, დაკავშირებული მხარეები არ ავლენენ ფინანსური სირთულეების ნიშნებს და აკმაყოფილებენ სესხების დაფარვის გრაფიკს, შესაბამისად ფინანსური ინსტრუმენტი 1-ელ ეტაპზეა განაწილებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, გირაოს დაქვემდებარებული აქტივების დონისა (იხ. შენიშვნა 11 (b))) და დაკავშირებული მხარის საწარმოების საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციის შეფასების შემდეგ (დაკავშირებული მხარეების შესაბამისი საკრედიტო რეიტინგებისთვის, იხილეთ შენიშვნა 24(c)), - მაგალითად მათი შედეგები სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები - ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (იხილეთ შენიშვნა 24(c)).

28. დაკავშირებული მხარეები

(a) კონტროლის ურთიერთობები

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის „Mining Investments LTD“-ი, რეგისტრირებული საქართველოში. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის "Eulachon Limited". ჯგუფზე საბოლოო კონტროლის მქონე მხარე არის დიმიტრი ტროიციკი.

კომპანიის მშობელი კომპანიები არ გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 8):

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	8,135	2,977

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ:

(i) შემოსავალი

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2020	2019	2020	2019
საქონლის რეალიზაცია:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები (შეტანილი სხვა შემოსავალში)	7,267	7,878	-	-
სხვა	94	399	3,776	3,524
გაწეული მომსახურება:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	40,280	34,613	-	-
სხვა	64	-	-	-
შემოსავალი დივიდენდიდან:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები*	-	-	78,400	48,085
საპროცენტო შემოსავალი:				
სხვა	15,212	1,351	17,619	3,514

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, გარდა მისაღები დივიდენდისა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

*მოძრაობა დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ დივიდენდებში წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების შენიშვნებში 10 და 14.

(ii) ხარჯები

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2020	2019	2020	2019
საქონლის შესყიდვა:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	77,314	106,800	50,283	-
სხვა	50,102	17,488	56,022	-
მიღებული მომსახურება:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	16,401	13,089	-	-
სხვა	507	4,019	117	15,986
საპროცენტო ხარჯი:				
საბოლოო მკონტროლებელი მხარის საერთო				
კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	123	2,084	-	5,369
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	4,344	-	4,590	-
სხვა ხარჯები:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	-	1,762	-	78

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, გარდა მისაღები დივიდენდებისა და გაცემული სესხებისა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

(iii) სესხები

'000 ლარი	ნასესხები სახსრები		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2020	2019	2020	2019
სესხები და კრედიტები:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	226,619	84,392	67,274	5,504
გაცემული სესხები:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	14,678	20,319	-	-
სხვა	242,940	15,542	263,455	17,177

სესხებისა და კრედიტების და გაცემული სესხების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნებში 21 და 16, შესაბამისად.

(iv) საკრედიტო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი დაკავშირებული მხარეების დავალიანების გარანტი იყო (იხ. შენიშვნა 27(e)).

29. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის პანდემიამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. საქართველოში პირველი შემთხვევა ოფიციალურად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. 2020 წლის 21 მარტს საქართველომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა ქვეყანაში. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ საქართველოს მთავრობამ დააწესა სხვადასხვა შეზღუდვები ქვეყანაში განხორციელებულ საქმიანობაზე. სხვადასხვა დროს დაწესებული შეზღუდვები მოიცავს საზღვარგარეთ მოგზაურობის სრულად აკრძალვას, ქვეყნის მასშტაბით გადაადგილების კონკრეტულ საათებში შეზღუდვას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებას, კომერციული საქმიანობის შეწყვეტას, გარდა დისტანციურად შესაძლებელი და სპეციფიკური საქმიანობებისა (სასურსათო, ავთიაქები, კომერციული ბანკები, ბენზინგასამართი სადგურები, საფოსტო განყოფილებები და ა.შ.).

2020 წლის მარტში, COVID-19-ის პანდემიის გამო, ბოლნისის რეგიონი (შენიშვნა 1 (b)) მკაცრი საკარანტინო რეჟიმის ქვეშ მოექცა, რამაც მთავრობის მხრიდან რეგიონის ჩაკეტვა გამოიწვია. შეზღუდვების მიუხედავად, ჯგუფს არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა და შეფერხების გარეშე გააგრძელა ყველა პროცესი. კომპანიის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობამ შესაბამისი სანიტარული სანქციები შემოიღო და პერსონალი, მთავრობის მიერ რეკომენდირებული სანიტარული ნორმების შესაბამისად მუშაობდა. მოგვიანებით, საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა 6-ფაზიანი გეგმა საქართველოს ეკონომიკის გახსნის შესახებ, საკარანტინო შეზღუდვების მოხსნით 2020 წლის 27 აპრილიდან. 2020 წლის 22 მაისს, საგანგებო მდგომარეობა დასრულდა ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების გათვალისწინებით.

2021 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ (GoG) დაიწყო COVID-19 პანდემიის გამო დაწესებული ძირითადი შეზღუდვების თანდათანობითი მოხსნა. ვაქცინების გავრცელება, რომლებიც უზრუნველყოფენ COVID-19-ის მიმართ ძლიერ იმუნიტეტს, ქმნის პოზიტიურ მოლოდინს ეკონომიკასა და ბიზნესგარემოს სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფი სამთო მრეწველობაში აწარმოებს თავის საქმიანობას, რომელზეც უარყოფითი გავლენა არ ჰქონია COVID-19-ის აფეთქებას, საერთო ჯამში, პანდემიამ არ იქონია უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. პირიქით, COVID-19-ის აფეთქების შემდეგ, 2020 წლის განმავლობაში, გლობალურ ბაზარზე ძვირფასი ლითონების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც დადებითი გავლენა იქონია ჯგუფის შემოსავლებზე და მომგებიანობაზე.

30. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ინვესტიციებისა, რომლებიც კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სავაჭრო მოთხოვნებისა (რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ ფასებს ექვემდებარება), რომლებიც კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

31. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელ წილის დეფიციტურ ნაშთს.

(ii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

შიდა-ჯგუფური ნაშთები და ტრანზაქციები, ასევე შიდა-ჯგუფური ოპერაციებისას წარმოქმნილი ნებისმიერი არა-რეალიზებული შემოსავალი და ხარჯები არის აღმოფხვრილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

(b) შემოსავლის აღიარება

(i) საქონელი

ჯგუფის სპილენძ-ოქროს, ოქრო-პოლიმეტალის და ცემენტ-სპილენძის კონცენტრატების მომხმარებლებზე გაყიდვების სახელშეკრულებო პირობები იძლევა ფასის კორექტირების საშუალებას ხელშეკრულებაში დადგენილი შესაბამისი კოტირების წერტილისთვის არსებული საბაზრო ფასის მიხედვით. აღნიშნულს ეწოდება "წინასწარი ფასწარმოქმნის ხელშეკრულებები" და მდგომარეობს იმაში, რომ სპილენძ-ოქროს და ოქრო-პოლიმეტალის კონცენტრატების გაყიდვის ფასი დაფუძნებულია საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ ფასებზე კონკრეტული მომავალი თარიღისთვის, კლიენტზე მიწოდების შემდეგ (კოტირების პერიოდის ან "QP"). გაყიდვის ფასის კორექტირებები დაფუძნებულია მომრაობაზე კოტირებულ საბაზრო ფასებში, კოტირების პერიოდის ბოლომდე. პერიოდი წინასწარი ინვოისის გაცემისა და კოტირების პერიოდის ბოლომდე შეიძლება მერყეობდეს 1-დან 3 თვემდე.

შემოსავალი აღიარდება როდესაც კონტროლი საქონელზე მომხმარებელს გადაეცემა, დროის იმ მომენტში, როდესაც კონცენტრატი ჯგუფის საბადოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ვაგონებზე დაიტვირთება. შემოსავალი ფასდება ჯგუფის მოლოდინით იმ ოდენობისა, რომლის მიღების უფლებაც ექნება, რაც წარმოადგენს იმ ფასის მიახლოებას, რომლის მიღებაც მოსალოდნელია კოტირების პერიოდის ბოლოს, ანუ ფორვარდული ფასი, და აღიარდება შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნა.

წინასწარი ფასწარმოქმნის ხელშეკრულებებისთვის, ნებისმიერი მომავალი ცვლილება, რომელიც კოტირების პერიოდის განმავლობაში ხდება ჩართულია წინასწარი ფასებით განსაზღვრულ სავაჭრო მოთხოვნებში და შესაბამისად, განიხილება ფასს 9-ის და არა ფასს 15-ის ფარგლებში. საქონლის ფასზე დაქვემდებარების გათვალისწინებით, აღნიშნული წინასწარი ფასებით განსაზღვრული სავაჭრო მოთხოვნები ვერ აკმაყოფილებს ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირებას ფასს 9-ის ფარგლებში და მამასადამე, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თავდაპირველი აღიარების თარიღიდან მისი დაფარვის თარიღამდე. აღნიშნული სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ყველა პერიოდში და წარმოდგენილია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლისგან განცალკევებით "სამართლიანი ღირებულების შემოსავალი/ზარალი წინასწარი ფასით განსაზღვრულ სავაჭრო მოთხოვნებზე" ნაწილის სახით (არსებითობის შემთხვევაში). სამართლიანი ღირებულების ცვლილებები კოტირების პერიოდის განმავლობაში და მის დასრულებამდე, ფასდება სპილენძ-ოქროს, ოქრო-პოლიმეტალის და ცემენტ-სპილენძის კონცენტრატების განახლებული ფორვარდული საბაზრო ფასების გამოყენებით.

გადახდის პირობები: როდესაც გაყიდვის გარიგება დგება, კონტრაქტის იხდის მთლიანი წინასწარი ღირებულების 90%-ს, ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის მიღებისას:

- პოლდინგის სერტიფიკატი;
- გამყიდველის წინასწარი ინვოისი;
- წინასწარი წონის, ტენიანობის და ანალიზის სერტიფიკატები.

საბოლოო გადახდა უნდა განხორციელდეს საბოლოო ანალიზების თარიღიდან 3 საბანკო დღის განმავლობაში, როდესაც წონები და ფასები ცნობილია.

(ii) მომსახურება

ჯგუფი შემოსავალს გამოიმუშავებს შპს "არემჯი გოლდზე" გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან, რომელიც საბადოს საქმიანობას უკავშირდება (ბურღვა, აფეთქება, ტრანსპორტირება და ა.შ.). ჯგუფი ასკვნის, რომ მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი უნდა აღიარდეს გარკვეული დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად, რადგან მომხმარებელი თანადროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფის მიერ მიწოდებულ სარგებელს. მომსახურების ანგარიში წარდგენილია და გადახდა უნდა განხორციელდეს მომსახურების დასრულებისას და ინვოისის გაცემისას. მომსახურების მოკლევადიანი ხასიათის გათვალისწინებით (1-2 დღე), შემოსავალი მომსახურებისთვის აღიარდება გამარტივების მიზნებისთვის მათი დასრულებისას.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- დისკონტის პოზიციის დახურვიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური

ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ბიზნეს შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაცია მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღირიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(f) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. მიწა ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადები აქვს, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. მოხსნილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახსნის საწარმოო ხარჯები, რომლებიც მომავალში მოსაპოვებელ მადანთან წვდომას აუზრუნველყოფს, აღიარდება სამთო-მომპოვებელი ქონების დამატებად მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი:

- სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება;
- საწარმოს შეუძლია მოახდინოს იმ მადნის კომპონენტის იდენტიფიცირება, რომელთანაც წვდომა იქნა გაუზრუნველებული; და

- გადახსნის საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც კომპონენტს უკავშირდება, ობიექტურად შეიძლება შეფასდეს.

ჯგუფი წარმოების ყველაზე შესაფერისი საზომის სახით იყენებს, გასანადგურებელი ნარჩენების მოსალოდნელი მოცულობის (ტონა) თანაფარდობას მოსალოდნელი მადნის მოცულობასთან (ტონა), რათა გაანაწილოს გადახსნის ხარჯები წარმოებულ მარაგებსა და გადახსნის საქმიანობის აქტივს შორის.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება. ფასდება ინდივიდუალური აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

საბადოს ქონება შედგება გადახსნის საქმიანობის აქტივისგან, რომელსაც ცვეთა ერიცხება ერთეულის წარმოების მეთოდის მიხედვით.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის, შემდეგია:

- | | |
|--|-----------------------------|
| • მანქანა დანადგარები | 9 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 6-7 წელი; |
| • კაშხლები და გზები | 8 წელი; |
| • შენობა-ნაგებობები | 16-17 წელი; |
| • საბადოს ქონება | „წარმოების ერთეულის“ მეთოდი |
| • კაპიტალიზირებული რეკულტივაციის ანარიცხი (აქტივი) | 9 წელი; |
| • სხვა | 5 წელი. |

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(გ) არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(i) საძიებო და საშემფასებლო დანახარჯი

კაპიტალიზირებული დანახარჯი მოიცავს მასალების, პირდაპირი შრომისა და ზედნადები ხარჯების თვითღირებულებას, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანას და ასევე კაპიტალიზირებულ სასესხო ხარჯებს. ახალი მადნეულის ძიებისა და შეფასებასთან, არსებული მადნის მინერალიზაციის განსაზღვრასთან, ასევე წარმოების სიმძლავრის დადგენასა და გაფართოებასთან დაკავშირებით გაწეული დანახარჯი, კაპიტალიზირდება ეკონომიკური შეფასების დასრულებისთანავე, რაც წინასწარი მიზანშეწონილობის შესწავლის ეკვივალენტურია, ამ დროს იწყება ხარჯების ამორტიზაცია, ქვემოთ წარმოდგენილის მიხედვით. აღნიშნული ეკონომიკური შეფასება განსხვავდება წინასწარი მიზანშეწონილობის შესწავლისგან, რადგან ზოგიერთი ინფორმაცია, რომელიც როგორც წესი წინასწარი მიზანშეწონილობის შესწავლის დროს განისაზღვრება, ამის ნაცვლად მიიღება არსებული საბადოდან ან მისი განვითარებიდან. ეს ინფორმაცია, იმ საბადოს ქონებასთან დაკავშირებულ არსებულ ცოდნასთან ერთად, რომლიდანაც უკვე ხდება მოპოვება ან რომელიც განვითარების ეტაპზეა, საშუალებას აძლევს ხელმძღვანელობას დაასკვნას, რომ მეტი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ჯგუფი მოიპოვებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს დანახარჯებიდან.

საძიებო და საშემფასებლო დანახარჯი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ii) საძიებო და საშემფასებლო ლიცენზიები და სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდებიან თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(iii) ამორტიზაცია

საძიებო და საშემფასებლო დანახარჯი

საძიებო და საშემფასებლო დანახარჯი ამორტიზირებულია წრფივი მეთოდით საბადოს მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე და ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საძიებო და საშემფასებლო ლიცენზიები და სხვა არამატერიალური აქტივები

ამორტიზაცია დაანგარიშდება აქტივის თვითღირებულების ან თვითღირებულების ჩამნაცვლებელი სხვა თანხის გათვალისწინებით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან აღნიშნული ყველაზე კარგად ასახავს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას.

მიმდინარე პერიოდისთვის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- | | |
|--|---------------------|
| – მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზია* | 8 წელი (დარჩენილი); |
| – სხვა (პროგრამული უზრუნველყოფა, ლიცენზიები) | 3-4 წელი. |

*მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზია ამორტიზირებულია წრფივი მეთოდით საბადოს მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე.

ამორტიზაცია დაანგარიშდება აქტივის თვითღირებულების ან თვითღირებულების ჩამნაცვლებელი სხვა თანხის გათვალისწინებით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(h) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობისას. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალ ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - წილობრივი ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

იმ წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, ჯგუფმა შეიძლება შეუქცევად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოჩნდება, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშებოდა.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 17), ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 18), მისაღები დივიდენდები (შენიშვნა 14 (b)), გაცემული სესხები (შენიშვნა 16), გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა (ექვემდებარება წინასწარ ფასწარმოქმნას) ყველა ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო მოთხოვნები (ექვემდებარება წინასწარ ფასწარმოქმნას) კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ჯგუფს აქვს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული წილობრივი ინვესტიციები (შენიშვნა 14(a)).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემქნის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ასეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობები ან ზარალები ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიკაცია“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგებისა ან ზარალის კორექტირებას მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა

ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიკაცია (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ჯგუფი აღიარებს ასეთი მოდიფიკაციიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ცვეთადი ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიკაციის (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, ანუ ბანკების მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საკვანძო განაკვეთებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წამოწყებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის უფლებას და ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, რომ ან მიიღოს გადახდილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი ნომინალური ღირებულებით, ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალსე ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(iv) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციის ოფციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

(j) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღრიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი ; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოძინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას. გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შეიცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(k) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(l) საკრედიტო ვალდებულებები

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც ჯგუფს მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი რომელსაც ის გასწევს რადგან კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრულ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას (გამოკლებული, შესაბამისობის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპების მიხედვით აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობა) შორის უდიდესით.

(m) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(i) ტერიტორიის აღდგენა

ბუნებრივი რესურსების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომხმარებელი პასუხს აგებს სამუშაო ტერიტორიის რეკულტივაციაზე რესურსებით სარგებლობის დასრულების ან რაიმე სხვა მიზნით რესურსებით სარგებლობის შეწყვეტისთანავე და თუ რესურსების მომავალ სარგებლობას ადგილი აღარ აქვს.

შესაბამისი აქტივი აღიარდება ძირითად საშუალებებში. სამუშაო ტერიტორიის აღდგენის ხარჯი განისაზღვრება ვალდებულებების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გამოყენებით, დასაფარად გასაწევი მოსალოდნელი ხარჯების მიმდინარე ღირებულებით. ფულადი ნაკადები დისკონტირდება მიმდინარე დაბეგვრამდე ურისკო განაკვეთით. დისკონტის პოზიციის დახურვა აღირიცხება ხარჯის სახით მისი გაწევისთანავე და აღიარდება მოგებაში ან ზარალში ფინანსური ხარჯის სახით. აღდგენასთან დაკავშირებული სავარაუდო მომავალი ხარჯები ყოველწლიურად გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება. ცვლილებები მოსალოდნელ მომავალ ხარჯებში, აღდგენის ვადებში ან გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში ემატება ან აკლდება შესაბამისი აქტივების თვითღირებულებას.

ანარიცხების სახით აღიარებული თანხა წარმოადგენს, საანგარიშგებო თარიღისთვის, მიმდინარე ვალდებულების დასაფარად აუცილებელი ხარჯის საუკეთესო შეფასებას. რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც მრავალ მოვლენას და ვითარებას უკავშირდება, გაითვალისწინება ანარიცხის საუკეთესო შეფასების განსაზღვრის პროცესში. სამუშაო ტერიტორიის აღდგენის სამომავლო დანახარჯების პროგნოზირებას მნიშვნელოვანი მსჯელობა სჭირდება. მომავალი მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხაზე, აისახება ანარიცხის თანხაში, თუ არსებობს მათი წარმოშობის საკმარისი ობიექტური მტკიცებულება.

32. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები (ფასს 16-ის კორექტირება).
- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 წლების ციკლი;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები
- ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია (ფასს 10-ის და ბასს 28-ის კორექტირებები).

33. შემდგომი მოვლენები

2021 წლის 29 სექტემბერს, ჯგუფმა მიიღო ფორმალური უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი სს "საქართველოს ბანკისგან" 2020 წლის 31 დეკემბრისთვის უზრუნველყოფილ საბანკო სესხებთან დაკავშირებული კოვენანტის დარღვევასთან დაკავშირებით (იხ. შენიშვნა 21).

სს არემჯი კოპერის

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

საქმიანობის მიმოხილვა

სს არემჯი კოპერი (წარსულში სს მადნეული შემდგომში „კომპანია“) - ამუშავდა 1975 წელს, ხოლო სააქციო საზოგადოების ფორმით ჩამოყალიბდა 1996 წელს; კომპანია რეგისტრირებულია დაბა კაზრეთში, ბოლნისის რაიონში. კომპანია ფლობს მადნეულის საბადოს მინერალური რესურსების კვლევის, მოპოვების და გადამუშავების ლიცენზიას ბოლნისის რაიონში 2041 წლამდე. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ოქრო-სპილენძის კონცენტრატის წარმოება და გაყიდვა. კომპანიის საქმიანობის თანმდევი პროდუქტია ე.წ. ცემენტირებული ოქრო-სპილენძის კონცენტრატის წარმოება და გაყიდვა.

2020 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავს ორი შვილობილი კომპანია: შპს ბელაზ კავკაზ ტრანს და შპს ტრანს ფეთქ მზიდი, რომლებსაც არ აქვთ მნიშვნელოვანი ოპერაციები. სს არემჯი კოპერი და მისი შვილობილი კომპანიები ერთად მოხსენიებულია როგორც „ჯგუფი“. 2020 წლის ბოლოსთვის კომპანიის 99.6%-ის მფლობელია შპს „Mining Investments“. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი კომპანიაა „Eulachon Limited“.

კომპანიის ტექნოლოგიური პროცესი წარმოადგენს ქანებიდან ოქროს და სპილენძის ამოღებას ფლოტაციის ტექნოლოგიური პროცესის საშუალებით. ფლოტაცია წარმოადგენს პროცესს, სადაც წვრილად დაფქვილ ქანებში წყლის და რეაგენტების გამოყენებით (ძირითადად კირის საშუალებით) ხდება კონცენტრატის ანუ იმ ფრაქციის გამოყოფა, რომელიც ყველაზე მეტ ოქროს და სპილენძს შეიცავს. აღნიშნული პროცესის მეშვეობით 2020 წელს გადამუშავდა 2.26 მილიონი ტონა მადანი, რომელშიც სპილენძის შემცველობა იყო 0.36% და ოქროს შემცველობა 1.55 გრამი ტონაზე. წარმოებულმა კონცენტრატმა შეადგინა 30,774 ტონა (მშრალი წონა), რომელშიც სპილენძის შემცველობა იყო საშუალოდ 15.14% და ოქროს შემცველობა 66.75 გრამი ტონაზე. სპილენძის და ოქროს მადნიდან ამოღების კოეფიციენტებმა შეადგინა შესაბამისად 59,90% და 60,64%. კომპანიის კუთვნილ ფაბრიკაში 2019 წლიდან დაიწყო შპს აურამაინის მიერ წარმოებული მადნის გადამუშავება, და ოქროს პოლიმეტალური კონცენტრატის წარმოება, 2020 წელს გადამუშავდა 97 ათასი ტონა მადანი, წარმოებული იყო 7,396 ტონა (მშრალი წონით) ოქრო-პოლიმეტალური კონცენტრატი, რომელშიც იყო მეტალების შემდეგი შემცველობა, ტყვია 12.52%, თუთია 23,71%, ოქრო 65.35 გრამი ტონაზე და ვერცხლი 412.98 გრამი ტონაზე.

ფლოტაციის ტექნოლოგიით მხოლოდ გარკვეული ტიპის ე.წ. სულფიდური მადნის გადამუშავება შეიძლება, ამიტომაც კომპანია შესაბამის მადნს იღებს როგორც საკუთარი ე.წ. მადნეულის კარიერიდან ისე შპს არემჯი გოლდის საყდრის საბადოდან. 2021-2028 წლებში დაგეგმილია 11.9 მილიონი ტონა მადნის მოპოვება მადნეულის კარიერიდან და ამავე პერიოდში 9 მილიონი ტონა მადნის შესყიდვა შპს არემჯი გოლდიდან. აგრეთვე 2021-2028 წლებში დაგეგმილია შპს აურამაინის 2,3 მილიონი ტონა მადნის მოპოვება და გადამუშავება.

რაც შეეხება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას, 2020 წელს რეალიზაცია გაიზარდა 325.4 მილიონი ლარიდან - 504.9 მილიონ ლარამდე. რეალიზაციის გაზრდა ძირითადად განპირობებულია რეალიზებულ კონცენტრატში წინა წელთან შედარებით ოქროს უფრო მაღალი შემცველობით და ოქროს ფასის ზრდით. ამავე დროს გაიზარდა თვითღირებულებაც 189.5 მილიონი ლარიდან 254 მილიონ ლარამდე, რაც გამოწვეულია საყდრის საბადოდან შედარებით ძვირი მადნის შესყიდვით, ზოგადად ლარის გაუფასურების გამო ლარში მასალების და დანადგარების გაძვირებით. 2020 წელს ხელფასების ხარჯი გაიზარდა 41.7 მილიონი ლარიდან 43.2 მილიონ ლარამდე, რაც

ძირითადად გამოწვეული იყო დასაქმებულების გაზრდით 1,834 თანამშრომლიდან 2,000-მდე და ასევე მათი ხელფასის ზრდით. კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე ფლობენ განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს, რაც უნიკალურია საქართველოსთვის.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულ კომპანია შპს არემჯი გოლდთან, კონტრაქტორებთან და ქვეკონტრაქტორებთან ერთად ქმნის მნიშვნელოვან დადებით ეკონომიკურ ეფექტს როგორც დასაქმების, ისე საგადასახადო შემოსავლების კუთხით ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში.

კომპანია აგრეთვე ახორციელებს სოციალური დახმარების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით მნიშვნელოვან პროექტებს.

მადნების მოპოვება და გადამუშავება რეგულირდება ლიცენზიების და ნებართვების ფარგლებში. კომპანია ფლობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალურ საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #1005456 ლიცენზიას და შესაბამის ნებართვას მადნის მოპოვებაზე და კონცენტრატის წარმოებაზე.

გარემოს დაცვა

ზოგადი ინფორმაცია

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების და სს „RMG Copper“-ის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ბრძანებით განსაზღვრული პირობების გარდა, ექსპლუატაციის პერიოდში ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ან/და თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის მიერ შემუშავებულია მოკლევადიანი და გრძელვადიან სამოქმედო გეგმები.

კომპანია სს „RMG Copper“ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს სამოქმედო ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს.

წყალი

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა

გარემოში სამეურნეო და საყოფაცხოვრებო წყლებით დაბინძურების აღკვეთის მიზნით მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები:

- ✓ ტერიტორიაზე წარმოქნილი ადმინისტრაციული და დამხმარე ბლოკების (მობილური, საველე ტიპის კონტეინერები, სანიტარული კვანძი და სხვა.) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო (საკანალიზაციო) წყლების გაწმენდის მიზნით ტერიტორიაზე ფუქციონირებს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა;
- ✓ სანიტარული კვანძების (ე.წ. “ბიოტუალეტები”), რომელთა დაერთება ვერ ხდება საკანალიზაციო სისტემაზე, სერვისს და შესაბამისად გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვებას უზრუნველყოფს კომპანიის კუთვნილი ასენიზაციის ავტომატქანა.

სანიაღვრე წყლების მართვა

საწარმოო ზონის მიმდებარე ზედაპირული წყლის ობიექტებზე (მდინარეების კაზრეთულა, მაშავერა და ფოლადაური) უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სს „RMG Copper“-ის წყალდაცვითი სამოქმედო ღონისძიებების ფარგლებში 2020 წლის პერიოდში დამატებით გატარდა რიგი ახალი ღონისძიებები.

კუდსაცავიდან ჩამდინარე წყლების მართვისა და მდ. კაზრეთულას დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით კუდსაცავის ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა შემადგენელი დანადგარების, მოწყობილობებისა და ნაგებობების ერთიანი კომპლექსით ექსპლუატაციაშია და ფუნქციონირებს შეუფერხებლად.

2020 წელს ფუჭი ქანების N3 და N4 სანაყაროებიდან გამომდინარე დაბინძურებული წყლების მდინარეებზე (მაშავერა, ფოლადაური) უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სანაყაროების მიმდებარედ დასრულდა ჩამდინარე წყლების შემკრები სალექარების მშენებლობა.

ფუჭი ქანების N3 სანაყაროდან ჩამდინარე წყლების შეგროვების და ორგანიზებულად მართვის მიზნით, მილსადენით გადაიტუმბება 100 000 მ³-იან ავზში, საიდანაც წყლის

გამოყენება მოხდება საწარმოო ტექნოლოგიურ ციკლში წყალმოხმარების მოთხოვნის შესაბამისად.

2020 წლის პერიოდში 100 000 მ³-იანი ავზიდან მე-3 სანაყაროს ძირში ავზის და სატუმბი სადგურის მიმართულებით სატუმბი სადგურის ელ. მომარაგებისა სისტემის და მილსადენის მომსახურების მიზნით მოწყობილია გრუნტის გზა; გრუნტის გზის გასწვრივ გაყვანილი იქნა მაღალი წნევის წყლის საქაჩი მილსადენი (110 მმ პლასტმასის მილი). გზის გასწვრივ ასევე განხორციელდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-მონტაჟი.

2020 წელს მე-4 სანაყაროზე განხორციელდა ფუჭი ქანების N4 სანაყაროდან დრენირებული ჩამდინარე წყლების შემკრები სისტემის ნაგებობების მშენებლობა. სანაყაროდან დრენირებული მჟავე წყლების ჩადინება და შეკრება მოხდება სანაყაროს ძირში მოწყობილ ბეტონის კოლექტორში, საიდანაც ბეტონის არხის საშუალებით თვითდინებით გაედინება ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ ორ ერთეულ წყალშეკრებ რეზერვუარში, შემდეგ გადაიტუმბება გამწმენდ ნაგებობაში (ქიმიური გამწმენდი) და გაწმენდილი წყალი ჩაედინება მდ. ფოლადაურში.

ქიმიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა

2020 წლის IV კვარტლის პერიოდში დასრულდა გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა და გაცემული იქნა გარემოსდაცვითი ნებართვა - ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის სპილენძ-პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების N2-1051; 13.11.2020 წ. საფუძველზე.

კომპანიის მიერ შემუშავებული დეტალური საინჟინრო პროექტები მომზადდა 2020 წლის დასაწყისისთვის და მშენებლობა მიმდინარეობს ტენდერში გამარჯვებული პორტუგალიური (Elevation Engenharia, SA) და გერმანული (Cerafiltek Germany GmbH) კომპანიების მიერ. 2020 წელს შპს „RMG Copper“-ის მიერ დაიწყო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მონტაჟისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები.

ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად ქვეყანაში წარმოქმნილმა პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროცესი და განსაზღვრულ დროს დასრულება. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით ქიმიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის დადგენილი ვადა გახანგრძლივდა 2021 წლის 30 აპრილამდე.

ამასთან, სს „RMG Copper“-ის საწარმოდან მდ. მაშავერასა და მდ. ფოლადაურის კალაპოტებში ჩამდინარე წყლების გავლენის შეფასების მიზნით კომპანია ყოველწლიურად ატარებს მდ. მაშავერასა და მდ. ფოლადაურის ჰიდროგრაფიულ კვლევას.

ატმოსფერული ჰაერი

სს „RMG Copper“-ის ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონტროლი ხორციელდება ჰაერდაცვითი კანონმდებლობისა და კომპანიის მონიტორინგის გეგმის მიხედვით. დაკვირვების საკონტროლო უბნებს წარმოადგენს საწარმოო ტერიტორია, სადაც განთავსებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ორგანიზებული (მათ შორის სტაციონალური) და არაორგანიზებული წყაროები და დაბა კაზრეთის დასახლებული პუნქტი.

ამტვერიანების შემცირების ღონისძიებების ფარგლებში კომპანია ხელმძღვანელობს სატრანსპორტო გზების მორწყვის პერიოდულობისა და გრაფიკის შემუშავებული დოკუმენტით (შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან), სადაც გათვალისწინებულია ექსპლუატაციის ეტაპზე ცხელ ან/და მშრალ ამინდებში ძირითადი სატრანსპორტო (შიდა კარიერული და საავტომობილო) გზების მორწყვის საკითხები.

სს „RMG Copper“-ის საწარმოს ასპირაციული სისტემის მოწყობილობების აღდგენა/რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში. გამამდიდრებელ ფაბრიკის სამსხვრევ კავანძებზე და კირის საამქროში დამონტაჟებულია სამი აირ-მტვერდამჭერი მოწყობილობა. პროექტით აგრეთვე დაგეგმილია კიდევ ერთი ასპირაციული სისტემის მოწყობა სააკუმულაციო ბუნკერებში.

2020 წლის პერიოდში განახლდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების ახალი პროექტი. პროექტის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრების და გაზნევის ანგარიშის თანახმად, შპს „RMG Copper“-ის მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უახლოესი დასახლებული ზონის მიმართ არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს როგორც საწარმოო უბანზე მიმდინარე სამუშაოების წარმოებისას, მადნის ტრანსპორტირებისას, ასევე შპს „RMG Copper“-ის მადნეულის საბადოს კარიერებიდან და ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციის პროცესში.

ნიადაგი

საწარმოს პერიმეტრზე ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების პრევენციის მიზნით კომპანიის საწარმოო ტერიტორიაზე მუდმივად მიმდინარეობს კონტროლი ნარჩენების სათანადო მართვაზე; მომუშავე ტექნიკის გამართულობაზე; პერსონალის ინსტრუქტაჟი; ნიადაგის დაბინძურების რისკის აღმოჩენის შემთხვევაში მყისიერი რეაგირება, ხოლო დაბინძურებისას სარემედიაციო ღონისძიებების განხორციელება.

დეგრადირებული ნიადაგის გარემოსდაცვითი დანიშნულების აღდგენის მიზნით 2020 წლის პერიოდში განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

✓ ფერდობების მექანიკური და წყლისმიერი ეროზიის პროცესების თავიდან აცილების მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია წყალშემკრები არხები და მიმდინარეობს მათი გამართული ექსპლუატაცია.

✓ განახლდა რეკულტივაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა 2020-2025 წლებისთვის, რომლის მიხედვითაც წარმოებს და გაგრძელდება ფუჭი ქანების სანაყაროების, სპილენძის კუდსაცავის, კარიერების (მადნეულის, ბაზალტის, ტუფის), და საწარმოო ტერიტორიის რეკულტივაციის სამუშაოები;

✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული იქნა სს RMG Copper-ის ფუჭი ქანების მე-2 სანაყაროს პირველი ეტაპის (ზედა 12 ჰა მონაკვეთის) და სპილენძ-პირიტის კუდსაცავის რეკულტივაციის პროექტები.

რეკულტივაციის პროექტების მიხედვით, ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპის სამუშაოების შემდეგ, სავეგეტაციო პერიოდში დაიწყო ბიოლოგიური რეკულტივაციის სამუშაოები. ფუჭი ქანების მე-2 სანაყაროს ზედა იარუსზე 2.5 ჰა ფართობზე განხორციელდა მდგრადი ფესვთა სისტემის მქონე ბალახოვანი კულტურების ჰიდროთესვა.

სპილენძის კუდსაცავის მე-5 იარუსზე განხორციელდა ტექნიკური რეკულტივაცია და ჰიდროტესტის მეთოდით ფერდობების (≈ 4 ჰა) ბიოლოგიური რეკულტივაცია.

საპროექტო ტერიტორიებზე ბიოლოგიური რეკულტივაციის ღონისძიებები გაგრძელდება 2021 წლის გაზაფხულის სეზონიდან.

ნარჩენების მართვა

სს „RMG Copper“-ის სპილენძ-პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სანებართვო პროცედურების ფარგლებში 2020 წელს განახლდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმდა სს „RMG Copper“-ის ნარჩენების მართვის გეგმა, რომლის მიხედვითაც კომპანია იხელმძღვანელობს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პროცესებში.

კომპანიაში დანერგილია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა. საწარმოს ტერიტორიაზე 2020 წლის პერიოდისათვის კომპანია ფლობს ზუსტ მონაცემებს საქმიანობის განხორციელების პროცესში თანმხლები ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ; ყველა დროებითი დასაწყობების ღია პოლიგონები და დახურული უბნები მოწყობილია გარემოსდაცვითი და პერსონალის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით და ექვემდებარება მკაცრ კონტროლს; ნარჩენების მართვაზე დასაქმებული მუშა-პერსონალი თანმიმდევრულად ახორციელებს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მიზანმიმართულ მართვას (შეგროვება, წინასწარი დამუშავება, დროებით განთავსება საბოლოო ჩაბარებამდე); კომპანიის ნარჩენების მართვაზე პასუხისმეგებელი პირი უზრუნველყოფს მუდმივ მეთვალყურეობას და აწარმოებს მონიტორინგს ნარჩენების მართვის გეგმით მიმდინარე ყველა სავალდებულო პროცესზე.

ბიომრავალფეროვნება

სს „RMG Copper“-ის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მიხედვით ყოველწლიურად წარმოებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და მონიტორინგის ანგარიშები წარედგინება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

2020 წელს განხორციელდა ბიომრავალფეროვნების გეგმიური კვლევები, რომლის მიზანს წარმოადგენს დაბა კაზრეთსა და საყდრისის მიმდებარედ ტყის უბნების გამოკვლევა, ცხოველთა მრავალფეროვნების დადგენა, დახასიათება, მდ. მაშავერაში გავრცელებული ძირითადი სახეობების თევზების იდენტიფიკაცია და მოსალოდნელი/შესაძლო ტექნოგენური ზემოქმედების გავლენის შეფასება.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ხელს უწყობს სახეობების კონსერვაციას პრაქტიკული მეთოდების გამოყენებისა და იდენტიფიცირდება რეკომენდაციები, რომელიც საჭიროა საწარმოს ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.

კომპანიის საწარმოო პროცესის მიმდინარე სამუშაოებმა შესაძლო ზემოქმედების შემცირების მიზნით კომპანია მუდმივად ატარებს პერიოდულ მონიტორინგს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით განსზღვრულ სადამკვირვებლო წერტილებში.

ვინაიდან კომპანიის საქმიანობის შედეგად ყველაზე დიდი გავლენა ხდება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მონიტორინგის კუთხით კომპანია უზრუნველყოფს მდინარე მაშავერას

იხტო ფაუნის, ჰიდრო (მაკრო)ფაუნისა და წყალზე დამოკიდებული ცხოველების მონიტორინგს.

აგრეთვე, 2019 წელს კომპანიამ ჩაატარა ბიომრავალფეროვნების და მდ. მაშავერას იქტოფაუნის კვლევა. კომპანია განაგრძობს კვლევის მონიტორინგს და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიში ყოველწლიურად წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ვინაიდან საწარმოო ტერიტორიას ესაზღვრება ტყის ფონდის მიწები, ამ მიწების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში ხდება, მხოლოდ სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სახიფათო ქიმიური ნივთიერებების მართვა

ქიმიური ნივთიერებების მართვა

2020 წელს განახლდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმდა ს „RMG Copper“-ის ქიმიური ნივთიერებების მართვის გეგმა. სს „RMG Copper“-ის საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესში ქიმიური ნივთიერებების შენახვა, მოპყრობა და მართვა ხორციელდება ქიმიური ნივთიერებების მართვის გეგმის შესაბამისად, მათი მახასიათებლების, ურთიერთქმედების და თავსებადობის თვისებების მიხედვით, როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ისე შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო წესებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

ქიმიური ნივთიერებების საწყობებს გააჩნიათ დაღვრის საწინააღმდეგო სადრენაჟე არხები და შემგროვებელი ზუმფი, შენობა უზრუნველყოფილია ვენტილაციის სისტემით და ხანძრსაწინააღმდეგო საშუალებებით. ხოლო ქიმიური ნივთიერებების განთავსება ხორციელდება შესაბამის სექციებში ხის პადონებზე და სტელაჟებზე.

ყველა ნივთიერებას განთავსების ადგილზე აქვს შესაბამისი დასახელება და ნივთიერების უსაფრთხოების საინფორმაციო ფურცელი (MSDS), რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას კონკრეტული ქიმიური ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის, მასთან უსაფრთხო მოპყრობის და შენახვის, ასევე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების (სახიფათოობის) შესახებ.

ქიმიური ნივთიერებების შესანახი ნაგებობის ტერიტორია დაცულია უცხო პირთა შეღწევისაგან და აღჭურვილია გამაფრთხილებელი ნიშნებით.

გარემოსდაცვითი მონიტორინგი

გარემოსდაცვითი მონიტორინგი მიმდინარეობს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან 2020 წელს შეთანხმებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მიხედვით.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა განსაზღვრავს საწარმოს საქმიანობის პროცესში გარემოს მდგომარეობის კონტროლის მექანიზმს და ადგენს იმ პროცედურების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია გარემოს კომპონენტების ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასების, ზემოქმედების პრევენციის და შემდგომში გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა-უზრუნველყოფისათვის.

სს „RMG Copper“-ის სამთო გამამდიდრებელი საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოს თითოეული კომპონენტის მიმართ მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხის შეჯამებისას გათვალისწინებული იქნა საწარმო დამაბინძურებელი წყაროების პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების რისკები, რომლის შედეგად განისაზღვრა გარემომოსდაცავითი მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტები:

- ზედაპირული და მიწიქვეშა (გრუნტის) წყლები
- ატმოსფერული ჰაერი
- ხმაური
- ნარჩენები
- ნიადაგი
- ბიომრავალფეროვნება

ზედაპირული წყლის ობიექტების შესაძლო დაბინძურების წყაროების გათვალისწინებით მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) ღონისძიებები მოიცავს წინასწარ შერჩეულ წერტილებში ზედაპირული და მიწიქვეშა (გრუნტის) წყლების ხარისხის კონტროლს და მის კვლევას ლაბორატორიული მეთოდით.

ატმოსფერულ ჰაერში მტვრის კონცენტრაციის და ხმაურის დონის ინსტრუმენტალური გაზომვები მიმდინარეობს ფონური დონეების და საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი რეცეპტორების მგრძნობელობების განსაზღვრის საფუძველზე კონკრეტულად განსაზღვრულ წერტილებში.

ნარჩენების არასწორი მართვით შესაძლო დაბინძურების წყაროების გათვალისწინებით მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) ღონისძიებები მოიცავს ვიზუალურ კონტროლს ნარჩენების შეგროვების, განთავსების პროცესებზე და მის აღრიცხვა ანგარიშგებას.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი მოიცავს საწარმოს სამთო მოპოვების უბნის (კარიერის) სამხრეთ-დასავლეთით მხარეს არსებული ტყის მასივებს და მაშავერას ხეობის ნაწილს და საწარმოს მიმდებარე ზედაპირული წყლის ობიექტებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ოქროს და სპილენძის ფასების ცვალებადობა

კომპანიის ფინანსური შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ოქროს და სპილენძის ფასებზე, რომლებიც თავის მხრივ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული და კომპანიის კონტროლს გარეთაა; ოქროთი ვაჭრობა ჩვეულებრივად ხდება ლონდონის ოქროს ბირჟაზე (London Bullion Market), ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე (Tokyo Commodity Exchange), ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (New York Commodity Exchange (COMEX)) და ციურიხის ოქროს ბირჟაზე (Zurich Gold Pool). კომპანიის ოქრო იყიდება ლონდონის ოქროს ბირჟაზე გამოცხადებული ოქროს ფასების საფუძველზე. მსოფლიოს ოქროს ფასები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის (1) მსოფლიო ოქროს მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობა (2) მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპები, ასევე ძვირფასეულობის წარმოება, რაც ოქროს მოთხოვნასთან არის კორელაციაში (3) ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სიტუაცია ინდოეთში და სხვა აზიურ ქვეყნებში, რომლებიც გახდნენ ოქროს უდიდესი მომხმარებლები, ასევე სხვა განვითარებადი ქვეყნები (4) ოქროსა და ოქროს ფიუჩერებში სპეკულაციური ინვესტიციები (5) გაცვლითი კურსების ცვალებადობა და აშშ დოლარის კურსის გამყარება. ოქროს ფასები ცვალებადია - 2020 წელს ყოველდღიური ფასები მერყეობდა 1,472 აშშ დოლარს და 2,067 აშშ დოლარს შორის უნციაზე; სპილენძის ფასების განსაზღვრა ხდება ლონდონის მეტალების ბირჟაზე (London Metal Exchange, LME). სპილენძის მთავარი მომწოდებლები მსოფლიო ბაზარზე არიან ჩილე და პერუ, ხოლო მთავარი მომხმარებლები აშშ და ჩინეთი. ძლიერი ეკონომიკური ზრდა აშშ-სა და ჩინეთში იწვევს სპილენძზე ფასების გაზრდას, ისევე როგორც მოწოდების შეფერხება ან გაძვირება ჩილეში და პერუში. ასევე მნიშვნელოვანია სპილენძის შემცველების ფასების დინამიკაც, მაგალითად 2000 იანი წლების დასაწყისში სპილენძის ფასების გაზრდამ გამოიწვია ელექტრო კაბელებში სპილენძის ჩანაცვლება ალუმინით. სპილენძის ფასები ცვალებადია - 2020 წელს ყოველდღიური კურსები მერყეობდა 4,617 აშშ დოლარს და 7,985 აშშ დოლარს შორის ტონაზე. პერიოდის განმავლობაში ოქროსა და სპილენძზე დაბალი ფასების შენარჩუნება უარყოფითად მოქმედებს კომპანიის მოგებასა და ფულად ნაკადებზე.

სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობის რისკები

სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობა ხასიათდება მრავალი საოპერაციო რისკებითა და ფაქტორებით, რომლებიც კომპანიის კონტროლს მიღმაა და გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციულ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან:

- მიწისა და წყლის დაუგეგმავ მდგომარეობას
- გეოლოგიურ პრობლემებს, მათ შორის მიწისძვრებს და სხვა სტიქიურ უბედურებებს
- მეტალურგიულ და გადამუშავების პრობლემებს
- უჩვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების და სხვა ფორმის ფორსმაჟორული მოვლენების წარმოშობას

- მოსალოდნელზე დაბალ შემცველობებსა და ამოკრეფის კოეფიციენტებს
- უბედურ შემთხვევებს
- სამთავრობო ნებართვების დაგვიანებულ მიღებას ან უარს
- სამართალწარმოების, მათ შორის სააპელაციო გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგებს
- გაურკვევლობას სამთო-სადიებო საქმიანობისას
- ტრანსპორტირების შეფერხებას
- შრომით დავებს
- სასურველი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობას
- საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის მოპოვების შეუძლებლობას
- სპეციფიკაციებისა და მოლოდინების შესაბამისად მოწყობილობების ან პროცესების წარუმატებელ მუშაობას
- გაუთვალისწინებელ სირთულეებს შეძენილ ოპერაციებთან და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას
- დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ბაზრის მდგომარეობას

მოცემული რისკების სრულად დაფარვა შეუძლებელია თუმცა კომპანიაში მაღალი კლასის გეოლოგების, იურისტებისა და სხვა სპეციალისტების დასაქმება ამცირებს მოცემული რისკების წარმოქმნის ალბათობას და უარყოფით შედეგებს.

საოპერაციო გარემოს რისკები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და ასევე რამდენჯერმე ჩაიკეტა მსხვილი ქალაქები და მუნიციპალიტეტები, მათ შორის ბოლნისის მუნიციპალიტეტიც. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ გამოიწვია გარკვეული ბიზნეს საქმიანობების შეზღუდვა, თუმცა კომპანიის საქმიანობა არ მოექცა აღნიშნული რეგულაციების ქვეშ, სახელმწიფოსგან მიღებული უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვის გამო. შესაბამისად კომპანიამ მუშაობა განაგრძო ჩვეულ რეჟიმში.

ჯგუფზე COVID 19-ის გავლენასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის 2020 წლის აუდირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნა 29).

სხვა რისკები

სხვა რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ზრდის, ვალუტის გაუფასურებისა და სხვა რისკებს; იმის გამო რომ კომპანიის გაყიდვები ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში ამ სახის რისკების გავლენა უმნიშვნელოა;

ჯგუფის ძირითადი ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის 2020 წლის აუდირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნა 24).

30 ნოემბერი 2021 წ

აღმასრულებელი დირექტორი
თორნიკე ლიპარტია


ფინანსური დირექტორი
ლაშა მეფარიშვილი

ჯგუფის ძირითადი ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია
ჯგუფის 2020 წლის აუდირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (განმარტებითი
შენიშვნა 24).

30 ნოემბერი 2021 წ



ადმასრულებელი დირექტორი
თორნიკე ლიპარტია



ფინანსური დირექტორი
ლაშა მეფარიშვილი